# ელვა

თფილისი

შაბათი, 25 (7) მარტი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

გაზეთი „ელვა“ წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს. რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 12 ყოველ-დღიური გაზეთი. № 12



უქმეებისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 28 მარტს.

გაზეთი „ელვა“ მევაზეთეებმა უნდა გაყიდონ სამ კაპეიკათ, როგორც თფილისში, ისე სხვა ქალაქებში და სახალხო მატარებლებშიაც.

ამ წლის 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ელვა“

„ელვა“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი მევაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში: რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА“.


## რედაქციისაგან:

რედაქცია თხოვს ბბ-ნ ხელის მომწერლებს, გაზეთის მისაღებათ მიმართონ (ფოსტით გვიან მიდის, ამ საშუალებით კი ადრე მიიღებენ) ჩვენს აგენტებს, რომლებთანაც გაზეთი ნომრობით იყიდება და ხელის მოწერაც მიიღება. აგენტების სია: **ქუთაისში**—ამხ. „კოლხიდა“. **ბათომში**—მიხ. კალანდაძე, **ფოთში**—იოსებ კოხრეიძე, **ოზურგეთში**—მოსე ტულუში, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **გორში**—არჩუაძე, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **თელავში**—ქეთო ხარაფიშვილისა, **სიღნაღში**—ხაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე.


სადღესასწაულო რეპერტუარი ქართული წარმოდგენებისა.

სახაზინო და საარტისტო თეატრი

პირველად ახალი პიესები.

1.

ხალხი

სცენები 4 მოქ. პლატონისა თარ. შალიკაშვილისა.

2.

პირველი მერცხალი

დრამა 4 მოქ. ვ. რიჟსკისა თარ. შალიკაშვილისა.

3.

გამოსყიდვა

დრამა 4 მოქ. პოტაპენკოსი თარ. შალიკაშვილისა.

4.

ოტელო

ტრ. 5 მ. და 7 სურ. ვ. შექსპირისა თარ, ი. მაჩაბლისა

5.

პირველათ ორიგინალური პიესა.

ამ დროის გმირები

სცენები 5 მოქ დ. ბაქრაძისა.

წარმოდგენების დღე იქნება გამოცხადებული ცალკე.

რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.

ადმინისტრატორი ვ. გუნია.


## არჩევნები სათათბიროში

ამ ჟამათ მთელ რუსეთში დიდი ფაცაფუცია სათათბიროს არჩევნების გამო. მართალია ეს არა გავს იმას, რასაც პარლამენტარულ ქვეყნებში საარჩევანო აგიტაციას ეძახიან; მართალია ვიტემ და დურნოვომ ყოველგვარი ზომა იხმარეს, რომ ეს არჩევნები ჩაეფუჩეჩებიათ და ჩუმათ ჩაეტარებიათ, ამისთვის არაფერი არ დაზოგეს, არც კრებების აკრძალვა, არც გაზეთების დახურვა, არც რევოლიუციურ პარტიების სასტიკი დევნა, არც ცოტათ თუ ბევრათ ცნობილ პირების დაჭერა და გადასახლება, მაგრამ ეტყობა მთელი ხალხის ჩაჩუმება ძნელი საქმე ყოფილა. არჩევნების ჩუმათ ჩატარება, მოწინააღმდეგეების სრულებით თავიდან მოშორება და თავისი კანდიდატების გაყვანა სავსებით მაინც ვერ მოახერხეს. ამას აშკარათ ამტკიცებენ დღევანდელი არჩევნები.

ჩვენ ვიცით, თუ რას წარმოადგენს სათათბირო, ვიცით, რა უფლებებითაც არის იგი აღჭურვილი. აქედან აშკარაა, თუ როგორ უნდა ვუყურებდეთ ჩვენ სათათბიროს, თუ რას უნდა გამოველოდეთ იქიდან. მაგრამ ყოველ შემთხვევაში სათათბიროს არჩევნები თავის თავათ მეტათ საყურადღებო საქმეა; ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ რუსეთის ხალხის ცხოვრებაში მას დიდი მნიშვნელობა ექნება, სულ ერთია რა გზასაც უნდა დაადგეს იგი შეკრებისთანავე: ე. ი. მოითხოვს დამფუძნებელ კრების მოწვევას საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო ხმის უფლებით, თუ სავსებით დაემორჩილება იმავე ბიუროკრატიას, რომელმაც ამ დონა ხალხი დაღუპვის კარამდე მიიყვანა. ასე იქნება თუ ისე, ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ მომავალ სათათბიროს მაინც ისტორიული მნიშვნელობა ექნება. ასე იქნება თუ ისე, იქ მაინც ხალხის მიერ „არჩეული“ კაცები იქნებიან. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ ისინი სულ მაინც ვერ დაიხუჭავენ თვალებს დღევანდელ სინამდვილის წინაშე, ყველაფერს მაინც ვერ მიაფუჩეჩებენ, ყველაფერს მაინც ვერ დაივიწყებენ ამ სინამდვილიდან, კიდეც რომ ძლიერ მოინდომონ.

აშკარაა, დღევანდელ არჩევნებს დიდი მნიშვნელობა ექნება, მიუხედავათ იმისა უკიდურესი პარტიები ღებულობენ თუ არა მაში მონაწილეობას. სწორეთ ამიტომ კიდევ უფრო ღირსმნიშვნელოვანი იქნება მომავალი სათათბირო, ვინაიდან იქიდან, ასეა თუ ისე, უკიდურესი პარტიები განდევნილი იქნებიან, და ხმა ექნება განსაკუთრებით, საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც რევოლიუციის თავიდან აშორება უნდა. და ამიტომ მეტათ საყურადღებო უნდა იყოს ყველასათვის, თუ საზოგადოების ეს ნაწილიც როგორ უყურებს დღევანდელ მდგომარეობას, როგორი ნდობა აქვს დღევანდელი მთავრობის. და აი დღეს უკვე რამდენიმეთ ირკვევა, თუ რა იქნება მომავალი სათათბირო.

ერთათ-ერთი ცოტათ თუ ბევრათ პროგრესიული პარტია, რომელიც ლეგალურათ მონაწილეობას იღებს არჩევნებში და, რამდენათაც შესაძლებელია, აგიტაციასაც ეწევა თავის კანდიდატების გასაყვანათ სათათბიროში, კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტიაა (კადეტები). ამ პარტიას უახლოვდება ეგრეთ წოდებული დემოკრატიულ რეფორმების პარტია, რომელიც ჯერჯერობით პირველთან შედარებით ძლიერ სუსტია. ორივე ეს პარტია ბურჟუაზიულია, მაგრამ ისინი ბურჟუაზიის მარცხენა ფრთას წარმოადგენენ და მომხრენი არიან კონსტიტუციონალური მონარქიის, ე. ი. პარლამენტალური მართვა-გამგეობის, როგორც ეს დასავლეთ ევროპაშია. ბურჟუაზიის მარჯვენა ფრთას უმთავრესათ ორი პარტია შეადგენს: 17 ოკტომბრის კავშირი და პროგრესიული სიაღებ-მიცემო სამრეწველო პარტია. ესენიც მომხრე არიან პარლამენტალური წესწყობილების, მხოლოდ ტახტისთვის მეტ უპირატესობას თხოულობენ და ამავე დროს ყოველგვარ არჩევნებში ცენზის პრინციპს იცავენ, ე. ი. დემოკრატიული წესწყობილების წინააღმდეგნი არიან. ესენი არიან სხვილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, ბანკირები, მებირჟეები, მსხვილი მემამულეები და კაპიტალისტები, რომლებიც ძლიერ და მაგარ მთავრობას საჭიროებენ პროლეტარიატის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით უკიდურეს მემარჯვენეთა, ანუ შავ რაზმელთა, პარტიების შესახებ. იმათი გავლენა დღევანდელ არჩევნებზე მეტათ მცირე და უმნიშვნელოა, და თუ რაიმე ძალას გრძნობენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობა დახმარებას აძლევს და ხელს უწყობს.

რაც შეეხება უკიდურეს მემარცხენე პარტიებს, სოც.-დემოკრატებს, სოც.-რევოლიუციონერებს და რადიკალ-სოციალისტებს,—ყველა ესენი დღეს არა ლეგალურათ არსებობენ და არჩევნებშიაც მხოლოდ არა ოფიციალურათ შეუძლიათ მონაწილეობის მიღება. მეორე სოც.-დემოკრატების ერთი ნაწილი—„მეუმრავლესობა“, არჩევნებში მონაწილეობის მიღებას უარყოფს და თვით სათათბიროს ბოიკოტს უცხადებს. ამავე ტაქტიკას ადგანან სოციალისტ-რევოლიუციონერებიც და რადიკალ-სოციალისტებიც, თუმცა ამ უკანასკნელების პარტია სულ ახალია, და ამიტომ დღევანდელ არჩევნებზე შესამჩნევ გავლენას მაინც ვერ იქონიებდენ. უკიდურეს მემარცხენე ანუ სოციალისტურ პარტიებში ყველაზე უდიდესი ძალა და გავლენა სოც.-დემოკრატების პარტიას აქვს. მაგრამ იმათი გავლენა დღევანდელ არჩევნებზე რამდენიმეთ შესუსტებულია იმის გამო, რომ თვით პარტიაში სათათბიროში მონაწილეობის მიღების შესახებ უთანხმოებაა. მაშინ როცა ერთი ნაწილი სათათბიროს ბოიკოტს უცხადებს, მეორე ნაწილი არჩევნებში მონაწილეობის მიღების მომხრეა და ორივე ნაწილს დამოუკიდებლათ გაყავს პრაქტიკაში თავისი ტაქტიკა. აშკარაა, რომ ეს გარემოება შესამჩნევათ ამცირებს სოც.-დემოკრატიის გავლენას დღევანდელ არჩევნებზე.

ეჭვს გარეშეა, რომ კონსტ.-დემოკრატიულმა პარტიამ მეტათ მოხერხებულათ ისარგებლა დღევანდელი მდგომარეობით და თავის თავი ერთათ ერთ პარტიათ გამოაცხადა, რომელიც ხალხის თავისუფლებას იცავს. ეს პარტია შედგება უმთავრესათ ეგრეთ წოდებული ბურჟუაზიულ დემოკრატიისაგან, ანუ ბურჟუაზიული ინტელიგენციისაგან. იქ თავმოყრილი არიან ცნობილი პროფესორები, მწერლები, ჟურნალისტები, ვექილები, ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები და სხვა., რომელთაც თავისუფლება წყურიათ. ასეთი ხალხი, რა თქმა უნდა, თავმოყრილია განსაკუთრებით დიდ ქალაქებში, როგორც არიან, მაგალითათ პეტერბურგი, მოსკოვი, ოდესა, კიევი და სხვ. 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოცხადებისთანავე, ეს პარტია შეუდგა საორგანიზაციო მოქმედებას; იგი სავსებით დაეყრდნო ხსენებულ მანიფესტს და ამას იქით წასვლა აღარ უნდოდა. მაგრამ მთავრობამ თავისი უკიდურესი რეპრესიებით, ყველა თავის დაპირების უკან წაღებით, ეს მშვიდობიანი პარტიაც ცოტა არ იყოს გაარისხა და დღეს იგი მთავრობას აშკარათ უცხადებს უკმაყოფილებას. ამიტომ კონსტიტუციონალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ამ უკანასკნელ დროს ყურადღება მიაქცია, და აი ჩვენ ვხედავთ, რომ თითქმის ყველა დიდ ქალაქებში ხსენებული პარტიის წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს სათათბიროს არჩევნებზე. როგორც დეპეშები გადმოგვცემენ პეტერბურგში თითქმის ყოველგან კადეტები აურჩევიათ, ასევე მოსკოვში და სხვაგან. აქედან ის დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ, რომ თუ არჩევნების საქმე შემდეგში ასე წავიდა, სათათბიროს უმრავლესობა კადეტებისაგან იქნება შემდგარი. რასაკვირველია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქმე მომავალ არჩევნებზედაც ასე იქნება. მოსალოდნელია, რომ მთავრობამ კიდევ უფრო ენერგიული ზომები მიიღოს, მაგრამ ეს სულ სხვაა. უფრო საყურადღებო ჩვენთვის მეორე საკითხია, სახელდობ ის, თუ რა გზას დაადგება კონსტ.-დემოკრატიული პარტია იმ შემთხვევაში, თუ სათათბიროს წევრების უმრავლესობა მისგან იქნება შემდგარი? გაამართლებს იგი თავის დაპირებას დამფუძნებელ კრების მოთხოვას? არულატებს იგი თავის განიბალისებურ ღთქმას, რომ იგი პასუხის გებაში მიცემას მოითხოვს ყველა იმ პირების, რომლებმაც ჩვენი ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანეს? ამ პარტიის შედგენილობა, მისი წარსული და დღევანდელი უფერულობა ამ მხრით ვერაფერ საიმედოს გვეუბნება. ყოველ შემთხვევაში დღევანდელ არჩევნებზედაც კადეტების გამარჯვება გვარიანი სილაა მთავრობისთვის.

---

### კიდევ მუნიციპალიზაციის შესახებ

„ელვის“ მე-7 და მე-8 ნომრებში მკითხველს გავაცანით მასლოვის აზრი აგრარული საკითხების შესახებ. როგორც ვწერდით, მასლოვი მიწის მუნიციპალიზაციის იცავს, ე. ი. იმის აზრით მემამულეებს და მთავრობას მთელი მიწა უნდა ჩამოერთვას და გლეხობას გადაეცეს, მაგრამ არა კერძო საკუთრებათ, არამედ მიწა უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობას—მუნიციპალიტეტს. ეს, რასაკვირველია, შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, როცა ხალხის აჯანყება გაიმარჯვებს და დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, ეს რესპუბლიკა შეიძლება იქნეს წმინდა დემოკრატიული, ბურჟუაზიული. ამიტომ სრულიად არ არის სულ ერთი, თუ ვის ერგება მიწა. ცხადია, მიწით ვერ ისარგებლებს სოფლის პროლეტარი, მიწის დასამუშავებლათ იარაღებია საჭირო და უფულოთ მისი შეძენა კი არა შეიძლება. ამიტომ მიწის საკუთრებას დიდი მნიშვნელობა არ ექნება. საქმე ის არის ვინ შეიძლებს მიწით სარგებლობას. ცხადია მდიდარი გლეხი. მაშ ფულიც იმან უნდა იხადოს, ვისაც აქვს. მაგრამ სად უნდა წავიდეს ეს ფული? კერძო მემამულის ხელში? არა. სახელმწიფოს ხომ არ უნდა გადაეცეს? არა, რადგანაც ის მაშინ გაძლიერდებოდა და მშრომელ ხალხს კიდევ უფრო გაუმწარებდა სიცოცხლეს. დაგვრჩა ერთი გზა—ეს არის თვითმართველობა ანუ მუნიციპალიტეტი. საიჯარო გადასახადები ამან უნდა მოაწესრიგოს და ფული თვითონ უნდა დახარჯოს. რაზე დახარჯავს, აი ამაშია კითხვა. მუნიციპალიტეტში ყველა პარტიის წარმომადგენლები იქნებიან, იქ ბრძოლა იქნება და ვინც გაიმარჯვებს, ის თავისებურათ დაახარჯვინებს ამ ფულს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები ამას არ ეთანხმებიან, მუნიციპალიზაცია მისაღები არ არისო, ამბობენ (იხ. „ელვა“ №9). ამხ. ს. ბესოშვილის საბუთი, ჩვენი ფიქრით, უსაფუძლოა. „გლეხებს მიწების დასაკუთრება უნდათ, გლეხებს ართმეული მიწების დაყოფა უნდათ... და „მუნიციპალიზაციის“ მომხრეებს ღალატს შესწამებენო“. გარდა ამისა, რა ვუყოთ, თუ რევოლიუციით გატაცებული გლეხები მიწებს დაისაკუთრებენ და თვითმართველობისთვის აღარას დასტოვებენო? წინ ხომ ვერ გადავუდგებით, ვერ ვეტყვით შეჩერდითო და სხვ. აქ, ჩვენი ფიქრით, ავტორი აი რა შეცდომას აკეთებს: მას ავიწყდება, რომ ეს პროგრამის საქმე არ არის. თუ გლეხები დაისაკუთრებენ მიწებს, ჩვენ, რასაკვირველია წინ ვერ გადავუდგებით. კიდეც რომ გვინდოდეს ხელის შეშლა, ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ. ამას ჩვენ შევხედავთ როგორც ფაქტს და შემდეგში ვეცდებით პროპაგანდა გავწიოთ, მაგრამ განა აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ დაყოფა ვურჩიოთ. „გლეხებს ასე სურთო“, მაშ ასე, რაკი გლეხებს სურთ, ჩვენც ეს მათი სურვილი პროგრამაში უნდა აღვბეჭდოთ. იცით კიდევ რა სურთ საზოგადოთ წვრილ მესაკუთრეებს? წვრილი საკუთრების დაცვა. გამოდის, რომ სოციალდემოკრატიამ პროგრამაში უნდა შეიტანოს, რომ წვრილი საკუთრების დაცვაა საჭირო. ავტორი გრძნობს, რომ უხერხულ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, იმან კარგათ იცის, რომ „ხშირათ გლეხების სურვილები ცხოვრების მიმდინარეობას ეწინააღმდეგება.

მერე რას ამბობს ის ამის შესახებ? პრინციპების მოღალატე იქნებოდა ის პარტია, რომელიც გლეხებს ყოველგვარ სურვილებს უარყოფდათ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ცხადია, გლეხების ყოველგვარი სურვილების უარყოფა არ ვარგა, მაგრამ ეს ვინ არ იცის. ავტორი ზევით ლაპარაკობს გლეხების რეაქციონურ სურვილებზე გეტყვიან: „ხშირათ გლეხების სურვილები ძირიანათ ეწინააღმდეგება ისტორიის მსვლელობას“ და შემდეგ ხსნის, რომ ყველა სურვილებს უარისყოფა არ შეიძლებაო. გამოდის, რომ ხან რეაქციონურ სურვილებსაც უნდა დაუჭირო მხარი, წინააღმდეგ შემთხვევაში გლეხები მოგვშორდებაო, შიშობს ავტორი. რასაკვირველია გლეხობის ჩამოშორება სასურველი არ არის, მაგრამ განა აქედან ის გამოდის, რომ ჩვენ გლეხების ფეხის ხმას უნდა ავყვეთ? მაგრამ ქვემოთ ავტორი ამას აღარ ამბობს. აი მისი სიტყვები: თუ გლეხების სურვილები—მიწების დასაკუთრება და მათი დაყოფა არ ეწინააღმდეგება ისტორიის მიმდინარეობას, თუ ეს სურვილები პირიქით სავსებით გამომდინარეობს დღევანდელი დემოკრატიული რევოლიუციიდან, თუ ფეოდალურ საკუთრებასთან მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე შეიძლება ნამდვილი ბრძოლა, თუ გლეხების სურვილებიც სწორეთ ამას ღაღადებს, მაშინ თავისთავათ ცხადია, რომ პარტია ვერ უარყოფს ამ სურვილებს, ვინაიდან ამ სურვილების უარყოფა რევოლიუციის მსვლელობის უარყოფა იქნებოდა“ თუ ეს ასეა, ცხადია პარტიამ ამას ხელი უნდა შეუწყოს. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ თუ-ს დიდი მნიშვნელობა აქვს. მართლაც, ვინ დაამტკიცა, რომ რევოლიუციის მოსახდენათ უსათუოთ მიწის დაყოფაა საჭირო? მართალია, საფრანგეთში დიდი რევოლიუციის დროს გლეხებს ბევრი მიწა ერგოთ, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? განა ამან არ გააძლიერა ბონაპარტიზმი და ბურჟუაზიული „წესიერება“? რას წარმოადგენს საფრანგეთის გლეხობა დღეს, ასი წლის შემდეგ მიწების დაყოფიდან? ცხადია, ჩვენ რომ ვყოფილიყავით დიდი რევოლიუციის დროს, გლეხებს „წინ ვერ გადავუდგებოდით“, მაგრამ ნუ თუ აქედან ის გამოდის, რომ მათი მოქმედება უნდა გაგვემართლებია? მაგრამ, ვთქვათ, რომ მიწების დაყოფა რევოლიუციას ხელს უწყობს. მაშ ეს პრინციპის საქმე ყოფილა. მაშინ ავტორს ამისთვის უნდა მიექცია მეტი ყურადღება. მაშინ რაღა საჭირო იყო გლეხების სურვილებზე ამდენი ლაპარაკი? ცხადია უმთავრესი ყურადღება პრინციპს უნდა მიექცეს. მაშ საჭიროა იმის დამტკიცება, რომ მომავალი მოძრაობისათვის მიწის დაყოფა ჯობია და პირიქით მუნიციპალიზაცია ამას ხელს უშლის.

მესამე წერილში ამხ. ბესოშვილი სწორეთ ამას აქცევს ყურადღებას. ამის დასამტკიცებლათ ორი საბუთი მოყავს. პირველი საბუთი იმაში მდგომარეობს, რომ მიწისართმევა და დაყოფა პროლეტარიზაციის ხელს შეუწყობს. არა მგონია, რომ ყველა მარქსისტი ამის თანახმა გახდეს. ჩვენ არასოდეს არ უნდა ვცდილობდეთ პროლეტარიზაციის ხელის შეწყობას, ის უჩვენოთაც ხდება. საქმე ის არის წინ არ გადავუდგებოთ მას, რადგანაც ისტორიული განვითარების შეფერხება შეუძლებელიცაა, და მავნებელიც. საჭიროა დამტკიცდეს მიწის მუნიციპალიზაცია უშლის თუ არა ხელს ისტორიულ განვითარებას. ჩვენი ფიქრით არა თუ არ უშლის, ხელს უწყობს კიდეც, მეგრამ ისე კი, რომ სოციალური ტკივილები მისი მეოხებით უფრო ადვილი ასატანი ხდება. ამას ქვევით დავამტკიცებთ. მეორე საბუთათ ავტორს ის მოყავს, რომ მიწების გლეხებზე გადაცემა და შემდეგ მათი დაყოფა ძირს უთხრის ბატონ-ყმურ ნაშთებსო. მიწების გლეხების ხელში გადასვლა რომ ბატონყმურ ნაშთებს ძირს გამოუთხრის ეს ცხადია, მაგრამ ეს კი არ ვიცით, რატომ უსათუოთ დაყოფაა საჭირო, რომ ბატონ-ყმური ნაშთები მოისპოს? მარქსის „კაპიტა-

ლის“ მესამე ტომი ტყვილათ იმოწმა ავტორმა. ბატონ-ყმურს წვრილი საკუთრების აღორძინება მოყვებაო, ამბობს მარქსი მაგრამ მერე რა? განა რუსეთში დღეს ისე ძლიერია ფეოდალური წყობილება, რომ წვრილი საკუთრება არც კი არსებობს? განა კაპიტალიზმს რუსის „ტეტიებს“ ჯერ კიდევ არ სწვევიათ? ასეთი დამოკიდებულება აქვს მიწის დაყოფის მოთხოვნას პრინციპიალურ მოსაზრებასთან. მაგრამ როგორც ავტორის წერილებიდან ჩანს, ის უმთავრეს ყურადღებას იმას აქცევს, თუ როგორ მოვიმხროთ გლეხები. „მიწები გლეხებს, მხოლოდ გლეხებს და სხვას არავის“—ეს ლოზუნგი წელში გამართავს გლეხ-კაცობასო, ხოლო როცა სოფლის პროლეტარებზე გადადის, ის ამბობს, რომ ამათ კავშირი უნდა იქონიონ მებრძოლ გლეხებთან და მემამულეებს ებრძოლონო. როგორ მოგწონთ ეს კავშირი მებრძოლ გლეხებთან მემამულეების წინააღმდეგ. მებრძოლი გლეხები ხომ მამულისთვის ებრძვიან მემამულეებს? თქვენ იტყვით, ესენი მსხვილები არიანო, მაგრამ განა საშუალო შეძლების გლეხი პროლეტართან შედარებით მსხვილი არ არის? ჰაშ აქ ერთი შეიძლება ვუთხრათ სოფლის პროლეტარიატს: მხარი დაუჭირეთ გლეხებს, როცა ისინი დემოკრატიული წყობილებასთვის და მიწის კონფისკაციისთვის იბრძვიან, თანაც ებრძოლეთ მათ რეაქციონურ მისწრაფებას და ექსპლუატატორულ მადას. მიწის ჩამორთმევა—რევოლიუციონური აქტია, მაგრამ დაყოფის სურვილიც რეაქციონურია, რადგანაც ის გამომდინარეობს დამოუკიდებლობის შერჩენის სურვილიდან და სასტიკ ექსპლუატაციას გამოიწვევს. თანაც ტეხნიკურ განვითარებას წინ ეღობება, რადგანაც წვრილ ნაკრებზე გაუმჯობესებული მანქანების შემოღება და სხვ. შეუძლებელია. ცხადია გლეხობის რევოლიუციონურ მისწრაფებას ხელი უნდა შეუწყოთ, მისი რეაქციონური სარჩული კი გამოვააშკარაოთ. საზოგადოთ ჩვენ ყველა ოპოზიციონერებს ვუჭერთ მხარს, მაგრამ მათი მისწრაფება პროგრამაში არ შეგვაქვს. ერთი სიტყვით ავტორს არ დაუმტკიცებია ის, ვითომ მიწის მუნიციპალიზაცია ბატონ-ყმური ნაშთების მოსპობას ხელს უშლიდეს და კაპიტალიზმის განვითარებას ხელს არ უწყობდეს. გარდა ამისა, მუნიციპალიზაცია ისეთ პირობებს ქნის, რომ კაპიტალიზმის განვითარება ნაკლებ ტანჯვას აყენებს პროლეტარიატს, სოციალურ ტკივილებს ანელებს. საქმე აი რაშია. როცა მიწებს დაუყოფთ, ეს თანასწორობას ვერ ჩამოაგდებს, რადგანაც ნაწილდება მსხვილი მემამულეების და სახელმწიფო მიწები. ვისაც იარაღი, სათესლე და სხვ. ასეთები არა აქვს, ის ამ მიწით ვერ ისარგებლებს, პირიქით ვისაც მეტი ფული აქვს ის კიდევ მეტს ჩაიჩხრიალებს. როცა მიწის მუნიციპალიზაციაა, მაშინ ღარიბი გლეხი მიწას იჯარით აღარ აიღებს, მაშ საიჯარო გადასახადს გადიხდის მდიდარი და ეს ფული თვითმართველობას გადაეცემა. თვითმართველობა კი ამ ფულს საზოგადო საქმეებს მოახმარს, მაგალ., სკოლებს, გზებს, თავშესაფარებს და სხვ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიწის შემოსავლით მარტო მდიდარი ვერ ისარგებლებს. დიდ ნაჭერ მიწებზე რომ უფრო ადვილია გაუმჯობესებული მეურნეობა [illegible]. მაგრამ აქ გვაწყვეტინებენ [illegible], გლეხები [illegible] შეგვწამებენ, [illegible] ვეყოთ, გლეხიც [illegible] და გლეხის [illegible] არც აქ ვარგა. გლ[illegible] ერთი ნაწილი [illegible]ც დაგვიჯერებს, [illegible] თანდათან უნდა ვეცადოთ. ერთი რამ ავიწყდებათ კიდევ დაყოფის მომხრეებს—ის რომ მსხვილი მამულები ყველგან ერთი სივრცის არ არის; ზოგ სოფელს მეტი აკრავს, ზოგს ნაკლები. ვინ არის ამის თავდები, რომ დაყოფის დროს სოფელი სოფელს არ წაეკიდება. განა ცოტა ვნახეთ ასეთი მაგალითები ქართლში, როცა გლეხებმა მემამულეების მიწები ჩაიგდეს ხელში? რატომ გგონიათ, რომ გლეხს არ შეუძლია ამის გაგება?

დასასრულ კვლავ უნდა აღვნიშნოთ ერთი საბუთი, რომელიც ავტორმა მოიყვანა: გლეხებმა რომ დაიყონ მიწები წინ ხომ ვერ გადაველობებითო. ცხადია ვერა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ წინდაწინ მოვითხოვოთ ის, რაც ჩვენი ფიქრით რეაქციონურია.

# ახალი ამბები

✦ თფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა ცირკულიარული განცხადებები დაუგზავნა ადგილობრივ ბოქაულებს, რითაც წინადადებას აძლევს ამ უკანასკნელთ გამოუცხადონ თფილისის მცხოვრებთ, რომ „თფილისის ფურცლის“ მე-64 №-ში და აქედან სხვა გაზეთებში გაბეჭდილი ცნობა, თითქო 25 მარტისათვის **პატრიოტული მანიფესტაცია** მზადდებოდეს, სიმართლეს მოკლებულიაო, რადგან თფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით არავითარ მანიფესტაციის ნებართვა არაა აღებული და პირიქით, სამხედრო ძალით იქნება დაშლილიო. პოლიცმეისტრის მოადგილე წინადადებას აძლევს ბოქაულებს სასტიკი თვალყური დაიჭირონ, რომ 25 მარტს რაიმე მანიფესტაცია არ მოხდეს.

✦ 23 მარტს, ღამის 11 საათზე, ტფილისის სადგურზე ვიღაც უცნობმა **სასიკვდილოთ დასჭრეს** საერობო დარაჯი ბელაუსოვი. ეს ბელაუსოვი წინეთ ს. ჩოხატაურში იყო ჩასახლებული. პატრულმა ორჯელ გაისროლა თოფი, მაგრამ უცნობი ისე მიიმალა, რომ მის ასავალ-დასავალს ვერ მიაგნეს. დაჭრილი ბელაუსოვი რკინის გზის საავათმყოფოში წაიყვანეს, სადაც ორი საათის შემდეგ გარდაიცვალა. სადგურზე ამის შემდეგ ნახევარი ასეული სალდათი და კაზაკები ჩააყენეს.

✦ ახალ-სენაკიდან გვწერენ: ადგილობრივი ციხე ტუსაღებით გაივსო. ამას წინათ ძველ-სენაკში ადგილობრივ სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთან ერთათ, რომელიც თქვენს გაზეთში უკვე იყო მოხსენებული, დააპატიმრეს კიდევ მეშა დემურია. ახლო-მახლო სოფლის მცხოვრებნი შეძლების დაგვარათ ყოველნაირ გადასახადებს იხდიან. საზოგადოთ მეტ ს-მეტი შიშიანობაა. მუშაობა ჯერ არ დაუწყიათ. აქაურ ციხიდან ამას წინეთ გაიქცენ ტუსაღნი გუჯუ ქაჩიბაია და სულუხია. პოლიცია ბეჯითათ დაეძებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერა იპოვეს-რა.

✦ კავკასიის საოლქო **საინჟინერო სამმართველომ** ამას წინეთ სთხოვა ქალაქის გამგეობას დანიშნოს თავისი წარმომადგენელი იმ კომისიაში, რომელსაც ცნობაში უნდა მოიყვანოს, თუ რამდენი ადგილი ეკუთვნის თფილისში სამხედრო უწყებას,

✦ ამიერ კავკასიის რკინის გზის უმთავრეს სახელოსნოებში მოსამსახურეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას **მიეცეთ იჯარით** ქალაქის თავისუფალი მიწები ნაძალადევში. ქალაქის გამგეობამ განიხილა ეს თხოვნა და მთხოვნელთ უარი განუცხადა, რადგან ეს მიწები ქალაქს სხვადასხვა საჭიროებისთვის უნდაო.

✦ ქალაქის ყველა საბეითლო ექიმებს თვიურ ჯამაგირზე 25 მან. მოემატათ. ერთმა ექიმთაგანმა ბ-ნ ვართანიანცმა ქალაქის თავს განცხადება წარუდგინა, სადაც უარს აცხადებს მომატებულ ჯამაგირის მიღებაზე, რადგან ჯამაგირის **მომატება** ჩვენ კი არა მუშებს სჭირიათ, რომელთაც მეტათ ცუდ პირობებში უხდებათ მუშაობაო.

✦ 21 მარტს, თფილისის ოლქის სასამართლოს პირველ სისხლის სამართლის განყოფილებაში **მოსპეს** საქმე ახალციხის ოთხ-კლასიან სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორის სოროკინის მოკვლის განზრახვის თაობაზე. მიმდინარე წლის 6 იანვარს საღამოს 6 საათზე რამდენიმე უცნობი შევარდა სოროკინის ბინაში და სროლა ასტეხეს, მაგრამ არავინ მოუკლავთ. მეორე დღეს, როდესაც სოროკინის ბინიდან გარეთ გამოსულან, უნახავთ წითელი ბაირაღი წარწერით: „ძირს სოროკინი! ძირს მხეცი, ჯაშუში“! აქვე ეხატა კუბო და რევოლვერი. ამჟამათ ბატონი სოროკინი თფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორათ დანიშნეს.

✦ ქალაქის გამგეობის სტატისტიკურმა განყოფილებამ მიიღო ამომრჩეველთა სია თფილისის მაზრის საქართველოს ეპარქიიდან (4 ამომრჩეველია), დამატებითი სია ამიერ კავკასიის რკინის გზის სხვადასხვა განყოფილებებიდან (სულ 36 კ.) გადასახადთა ინსპექტორიდან, დ. სარაჯიშვილის უმთავრეს კანტორიდან (7 ამომრჩეველია) და სია იმ პირთა, რომელნიც მე 2, მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-9 და მე-10 საპოლიციო უბნებში სცხოვრობენ და ბინის სახელმწიფო გადასახადებს იხდიან.

✦ **სოფ. შაჰალში** მოხდა **არჩევნები** სახელმწიფო სათათბიროსთვის. აირჩიეს რვა სოფლიდან 2 კაცი, რომელიიც გაემგზავრენ შულავერს.

✦ გუშინ წინ, 23 მარტს, ელექტრონის ტრამვაის შემდეგი ექვსი მოსამსახურე **დააპატიმრეს**: ობერ-კანტროლიორი გიგიბერია, კანტროლიორი ჩეტვერენკო, კანტროლიორი ნიკულინი. კანდუქტორი ხეტროლიორი ... ლაძე, ვატმანი სტკლიაროვი და კანტროლიორი ჯიქიძე. ფიქრობენ ამათ დაპატიმრების ვატმან კრამარევის დაჭრასთან აქვს დამოკიდებულებაო.

✦ გუშინ, პირველ საათზე, **სარაჯიშვილის ქარხანაში**, ავჭალის ქუჩაზე, არტელშჩიკი ჩიმიშკიანი, რომელსაც 2,000 მან. მიეტანა ქარხნიდან, კასაში უცბათ შემოიჭრა უკანვე ქუდმოგლეჯილი და განაცხადა, რომ ის გაძარცვეს. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა უბნის ზედამხედველი გოროდევ მოვიდა უბნის ... დოვოებით და საშინლათ სცემა სამ მუშას, რომელზედაც ჩიმიშკიანმა მიუთითა.

დაწვრილებით ცნობები შემდეგ იქნება.

✦ ქალაქის მოურავის მოადგილემ გუშინ თფილისის გუბერნატორს ვრცელი განცხადება წარუდგინა იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამათ თფილისის თფილი წყლები. ამ საკითხისა და საბალნეოლოგიო სადგურის მოწყობის შესახებ პროექტი უკვე შედგენილია.

✦ სააქციონერო საზოგადოებამ „გელიოსმა“ გუშინ ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა. საზოგადოება თხოულობს გაუქმდეს მისი ხელშეკრულობა ელექტრონით **ქალაქის განათების** შესახებ, დაუბრუნდეს საზოგადოებას ბე—25,000 მანეთი და ქალაქმავე აუნაზღაუროს ის ხარჯი, რომელიც საზოგადოებამ დღემდე გაიღო და სხვ. ასეთ განცხადებას „გელიოსის“ საზოგადოება იმით ასაბუთებს, რომ ხანგრძლივი არეულობის გამო ცხოვრების პირობები შეიცვალა და შეუძლებელი შეიქნა ამა თუ იმ პირობის შესრულებაო.

✦ როგორც გადმოგვცეს, თფილისის ზოგიერთ დაწესებულებების უფროსებს წინადადება მიუღიათ უმაღლესი მთავრობისაგან, რამდენაც შეიძლება შეამოკლონ მოსამსახურეთა **შტატი** და დანარჩენებს, რომელნიც დათხოვნილების თანამდებობასაც აასრულებენ, ცოტ-ცოტა მოემატოს ჯამაგირიო.

✦ **სამსონ ღლონტის საქმე**, რომელსაც ბრალდება სამსახურს გარეშე მყოფ პოლკ. შოლინოვის მოკვლა და ფულის მოტაცება, სამხედრო სასამართლოში გაირჩევა სამშაბათს, 28 მარტს. იცავს ნაფიცი ვექილი კლანკი.

✦ სამხედრო უწყებას ბრძანება მოუვიდა პეტერბურგიდან, **გაყიდოს თიანეთში** ჯარის საბანაკოთ შეძენილი **ადგილები.** სამხედრო უწყებას აზრათ აქვს, წინადადება მისცეს საგლეხო ბანკს შეიძინოს ეს ადგილები გლეხებისათვის („ცნ. ფ.“).

ტფილისის მაზრის სოფ. მანგლისში წარმომადგენლათ აირჩიეს—7 კაცი, ბელიკლუჩში—10, სერგიევკაში—6, მიხაილოვკაში—2, ივანოვკაში 4, დიდ წალვში 2 და პატარა ირგაში.—4.

✦ გაზ. „ჩერნომორსკი ვესტნიკ“ ოზურგეთიდან ატყობინებენ. **დაჭერა ისევ გრძელდება.** 17 მარტს დაიჭირეს ნესტორ ერქომაიშვილი და კ. გორგოძე. ჯაშუშობა ჩვენში პროფესიონალურ [illegible] გადაიქცა. არის მთავარი და მეორე ხარისხოვანი ჯაშუშები.

✦ **ხანქენდან** „მშ.“-ს სწერენ, რომ ყაზახების ერთი ასეული მოვიდა სოფ. ავეტარანოცში და მოითხოვა 25000 მ. ჯარიმა, 80 თოფი და 25 კაცი.

✦ **ქ. ახალციხეში** ოქრომჭედლების მუშები და შეგირდები **გაიფიცენ** და რამდენიმე მოთხოვნა წარუდგინეს ხაზეინებს („მშ.“).

✦ **სოფ. სარქისაშენს** 18 მარტს დილით ეწვია ერთი ასეული ყაზახი, პრისტავ მელიქოვის მეთაურობით. დაიწყეს ჩხრეკა. ხალხმა ჩააბარა 4 ცალი თოფი. ყაზახების გაშორების შემდეგ მოვიდა არტილერია. ზარბაზნები სოფლის პირდაპირ დადგეს და დაუშინეს. ესროლეს ათჯერ და ცეცხლი წაუკიდეს ერთ დიდ სახლს. ზარალი დიდია.

✦ გადაითარგმნა ახალი წიგნი „პროლეტარიატი და მისი საბოლოო მიზანი“.

✦ თფილისის მედროგეების ერთმა ნაწილმა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანა, სადაც აცხადებენ—ნებას ნუ დართავთ სპარსეთისა და ოსმალეთის ქვეშევრდომთ მეეტლე-მედროგეთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონო. გამგეობაში ასეთის განცხადების შემტანნი უმეტესობა რუსები და მალაკნები არიან.

✦ 23 მარტს, გათენებისას, რამდენიმე შეიარაღებული უცნობი შევარდა შადინოვის ქარვასლაში, კარაპეტ ოსიპიანცის მაღაზიაში, კარები შეამტვრიეს და 2000 მანეთამდე საქონელი და ფული წაიღეს.

✦ 18 მარტს თავს დაეცნენ სიონის ქუჩაზე მელიქ-მარუტოვის მაღაზიას. წაიღეს 1260 მანეთი ფულათ და რამდენიმე ნაჭერი ხელსახოცი. ამის შესახებ გამოძიება პოლიციას დღემდე არ მოუხდენია,

✦ 23 მარტს, საღამოს 7 საათზე მე-7 საპოლიციო უბანში დასჭრეს მე-2 გილდის ვაჭარი ნ. ი. სტეფანოვი. ბოროტ-გამზრახველი გაიქცა. დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში გაგზავნეს.

# კავკასია.

**დ. ცაგერი** (ლეჩხუმის მაზრა). აქაური საპყრობილე სავსეა დატუსაღებულებით და, არამც თუ დასაძინებელი ადგილი არ აქვთ, ფეხზედაც ვერ ეტევიან აქაური ტუსაღები. რამდენიმე დღეა, რაც აქაურ სატუსაღოდან გაანთავისუფლეს მღვდელი არტემ ბოჭორიშვილი. მებატონეებმა ისარგებლეს რეაქციით და ისევ აღადგინეს თავიანთი ძველი უფლებები. მიდიან ხან მოჩივარი გზებდ შუამავალთან, ხან სოფლის მამასახლისებთან და ჩივიან, ჩვენი ნაყმევები ნადელს არ გვაძლევენო. რასაკვირველია, ეს უკანასკნელები ხალხს წინადადებას აძლევენ, დაუყონებლივ შეასრულოთ მებატონეების მოთხოვნილებები, თორემ პლასტუნებს ჩაგიყენებთ სახლშიო. გლეხები მირბიან მებატონეებთან და თითქმის რაც არ ერგებათ იმასაც კი აძლევენ, ოღონდ პლასტუნებს გადარჩნენ თავიანთი ოჯახებით. პლასტუნებს ფოსტა მიქონდათ, მაგრამ ურთმელიძეს შემანებია და შეუხვევია მეორე გზაზე. ამის დანახვაზე სტრაჟნიკებს და პლასტუნებს ჯერ თოფის სროლა დაუწყიათ, მერე დაუჭერიათ და წაუყვა-

# ფელეტონი

**რუსეთის იმპერიის ფინანსიური მდგომარეობა** *).

პირველ იანვარს გამოცხადებული იყო ფინანსთა მინისტრის „უქვეშევრდომილესი მოხსენება“ 1906 წლის შემოსავალ-გასავალზე.

განუკითხავი ბატონები რუსეთის იმპერიისა—„ჩინოვნიკები“, რომელნიც აურებელ ხარკსა კრეფენ ხალხის კისრიდან, წელიწადში ერთხელ აქვეყნებენ შემოსავალ-გასავლის ანგარიშს. უფლებას მოკლებული რუსეთის ხალხი ამ ანგარიშებიდან შეიტყობს, თუ რამდენ ტყავს აძრობდენ მას ამ წელში და რამდენ-რამდენს დაინაწილებენ ეს არა-მკითხე მუქთა მჭამლები. მშიერმწყურვალებიდან მიაქვთ და აძლევენ მაძღართ, რომ უფრო ჩაეშვან გახრწნილების მორევში. ყოველ მათ ლხენას ხალხის სისხლით შეღებილი დაღი ასვია. ისინი ამ ანგარიშის გამოცემით თავს იწუხებს იმიტომ კი არა, რომ აცნობონ რუსეთის „მოქალაქეს“ ანგარიში; არა, ისინი აძისთვის თავს არ აიტკივებენ! იმათ იციან, ვის უნდა სცენ პატივი. არის ერთათ-ერთი ჯგუფი, რომელსაც მთავრობა მოყვრულათ ეკიდება და პატივსა სცემს: ეს გახლავთ რუსეთის და საზღვარგარეთელი კრედიტორები, ბანკირები და მებირჟენი. აი ვისი ერიდება ჩვენ მთავრობას! აი ვის ემსახურება! ამათგან ფულს მოელის!

აქვეყნებენ ანგარიშებს იმიტომ, რომ ამით ცოტათი მაინც წაბაძონ იმ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოს, სადაც ყოველგვარ ხარჯთაღრიცხვას ხალხი უწევს კანტროლს, ცხადია, ისეთ კანტროლს აქ ვერავინ ვერ გაუწევს, მაგრამ ამ გამოცხადებით შეგვეძლება ცოტათი მაინც გაუწიოთ კრიტიკა; და რამდენი კიდევ საიდუმლოებათა სამეფოში დარჩება, ვინ იცის!...

წლიდან წლამდე ფინანსთა მინისტრი ყოველთვინ ერთსა და იმავეს იმეორებდა! „სახელმწიფოს ნივთიერი მდგომარეობა ძლიერ კარგათ არისო“.

ხალხს თავი დაეხარა და მონურათ იხდიდა ყველაფერს. თავის ხელით გაკეთებულ საქონელში ორჯერ მეტ ღირებულების ფასს აძლევდა, მთავრობის გადიდებულ ბაჟების და აქციზების გამო; და ფინანსთა მინისტრის საბედნიეროთ ყოველწლიურათ გამოდიოდა „უქვეშევრდომელესი მოხსენება“, რომ ხალხიდან გროვდება პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადი ამდენი და ამდენი, რომ ყველა გასავალი გასტუმრებულია: ჯარზე ამდენი, პოლიციაზე ამდენი, შპიონებზე და სხვა და სხვა და შემდეგ დარჩა კიდევ „თავისუფალი თანხა“, რომელიც შეიძლება მოხმარდეს „არა ჩვეულებრივ ხარჯებს“. თუ კი მოხდებოდა, ფულის საჭიროება, ბანკირებიც კარგი პროცენტებით სესხს დიდი სიხარულით აძლევდენ მთავრობას.

და რაღა საჭირო იყო ყურადღების მიქცევა გლეხკაცობის გაჭირვებაზე და შიმშილზე, რომელსაც ითმენდა რუსეთის იმპერიის მრავალ ტანჯული ხალხი, როდესაც ხაზინაში გვარიან საკმაოთ თავს იყრიდა „თავისუფალი თანხა“. სოფლად გლეხკაცობა შიმშილისაგან იხოცებოდა. ქალაქად აუარებელი მუშა გადიოდა. საშინლათ იმატა პროლეტარიატის „სათადარიგო არმიამ“, რომელმაც თავი მოიყარა ქალაქებში და სამრეწველო ცენტრში, და რომელმაც საშინელ მინიმუმზე ჩამოიყვანა მუშის დღიური ქირა.

თანდათან უარესდებოდა მუშების და გლეხების მდგომარეობა. ორ მილიარდ მანეთს კი არხეინათ აძრობდენ მას, და ამოდენა ფულს კი ყოველ წლიურათ ყლაპავდა მთავრობა. პირდაპირი გადასახადებს ხომ აძრობდენ და აძრობდენ და არა პირდაპირი გადასახადიც ძალა უნებურათ უნდა ეძლიათ,

მცოდნე კაცებმა კი იცოდენ, რომ ამისთანა თარეში მთავრობისა რუსეთის იმპერიას გაკოტრების გზაზე დააყენებდა. მაგრამ ანგარიშის გაწევა მხოლოდ ერთ ხალხს შეეძლო. და სწორეთ ის ალაპარაკდა... მან ამოიღო ხმა... ხალხს გაუწყდა მოთმინების ძაფი... ის ახმაურდა... და ახლა კი თვით ფინანსთა მინისტრიც მიხვდა, რომ ამის დამალვა ლამაზ-ლამაზ კანცელიარიული სიტყვებით არ შეიძლებოდა და წაიბუტბუტა: „თანამედროვე მდგომარეობა რუსეთის ფინანსებისა საკმარისათ გაჭირვებულიაო“. მან ნათლათ დაინახა, რომ სახელმწიფო დღევანდელი სისტემის წყალობით გაკოტრების გზას დაადგა.

1906 წლის განმავლობაში მთავრობას განზრახვა აქვს დახარჯოს 2.510.972,775 მ., თავის ქვეშევრდომიდან უნდა აკრიფოს კი მხოლოდ 2.029.858.774 მანათი. ამნაირათ არ ყოფნის 481.114.001 მ., და უნდა იშოვოს სადმე. გასულ წლებში ხომ გროვდებოდა „თავისუფალი თანხა“, მაგრამ დღეს ასეთი თანხა აღარ არის, ვინაიდან იმისთვის გამოძებნეს „არაჩვეულებრივი ხარჯი“. მთავრობა დღემდი ასე გულმოდგინეთ სესხულობდა ფულს ხალხის ხარჯზე, რომ დღემდი წმინდა ვალი მოგროვდა 8 მილიარდი მანეთი, რასაც 1906 წელს მარტო სარგებელში 335 მილიონი მანეთი უნდა იქნას გადახდილი. და აი ამდენ სახელმწიფო ვალს ჩვენ გვპირდება მიუმატოს ნახევარი მილიარდი ახალი ვალი!

მაგრამ ღებულობს თუ არა ხალხი ამდენ ვალს თავის თავზე? როგორც ჩვენ, ისე ჩვენი შვილის შვილებიც-კი ვერ ამოვლენ ამ ვალებიდან. მთავრობის ცოდვები უკვე შენიშნეს საზღვარ გარეთელ ბანკირებმა და ისინიც დღეს განზე იცქირებიან და მთავრობას სესხის მიცემაზე უარს ეუბნებიან.

შეურიგდა თუ არა ვიტე პორტსმუტში იაპონელებს, მაშინვე გამოსწია ამერიკაში და თათბირი გამართა ამერიკელ კაპიტალისტებთან სახელმწიფო სესხის შესახებ. მაგრამ აქ მას ძალიან უნდობლათ შეექცენ და შენიშნა თუ არა ეს ვიტემ, მაშინვე პარიჟში გასწია რუსეთის „მეგობარ“ ფრანგ კაპიტალისტ-ბანკირებთან. დიდი ვედრების შემდეგ ეს უკანასკნელები თაეთანხმენ პეტერბურგში ჩამოსვლას მოსალაპარაკებლათ; მაგრამ, როცა ოქტომბრის გაფიცვების შემდეგ ეს ბანკირები აშკარათ დარწმუნდენ, რომ დღევანდელ მთავრობას არ შეუძლია დაიმსახუროს ხალხის ნდობა და პატივისცემა, მაშინვე უკან მოკურცხლეს.

მოსკოვის „ბრწყინვალე“ გამარჯვების შემდეგ მთავრობა აგზავნის საზღვარ-გარეთ ფულის საშოვრათ, ფინანსთა მინისტრათ ნამყოფს, კოკოვცევს. მას უნდა ეშოვა საზღვარ გარეთ 1906 წლის ხარჯების დასაფარავი ფული, ე. ი. 500 მილიონი მანათი. მაგრამ დახეთ! როგორ ეშინიათ ბანკირებს რევოლიუციის და როგორ ვერ თანაუგრძნობენ რუსეთის მთავრობას! კოკოვცევიც ისე გაისტუმრეს როგორც ვიტე.

შეიძლება ასესხონ რუსეთის მთავრობას ფული დიდი გაჭირვებით, მაგრამ უსათუოთ სესხი უნდა იქნას რაც შეიძლება მოკლევადიანი და ისიც დიდ პროცენტიანი და ისე, რომ ოქრო უნდა დარჩეს იქ, საზღვარგარეთ, ძველი ვალების პროცენტისთვის და რუსის ქაღალდის ფულის კურსის გასამაგრებლათ, რომელიც დღეს თანდათან ძალიან დაბლა იწევს. აშკარაა, რომ ასეთი მანქანებით ნავი შორს არ წაიყვანება.

მთავრობამ ფული შეიძლება მოსძებნოს თვით რუსეთის კაპიტალისტებიდანაც, მაგრამ ესენი ძალიან გულ-გატეხილი არიან დღევანდელ მთავრობაზე, რომლის პოლიტიკის წყალობაა დღევანდელი ვაჭრობამრეწველობის დაცემა.

თვითონ მთავრობა გაკოტრების მიზეზს ორ მოვლენაში ხედავს: იაპონიასთან ომში და „ამბოხებაში“. იგი პირველ გარემოებას ზურგს აქცევს და არაფერს ლაპარაკობს სამარცხვინო ომზე: თუ ვის სასარგებლო იყო და რა ნაყოფი მოიტანა მან. ხოლო ყველაფერს რევოლიუციას აბრალებს, რომელიც მისივე ბრალია.

სახელმწიფო კანტროლის ანგარიშით, მიუხედავათ იმისა, რომ დახარჯული იყო მთელი „თავისუფალი თანხა“ და მასთან ხარჯებიც ძლიერ იყო შემცირებული, მაგრამ მაინც 1904 წელს დეფიციტი უდრიდა 162,3 მილიონ მანათს. (დეფიციტი მაშინ იქნება, როცა გასავალი აღემატება შემოსავალს). 1905 წელს საქმე უფრო უარესათ იყო; ამ წელს, დეფიციტი 400 მილიონამდე ავიდა, ე. ი. იმდენი, რამდენიც წრეულს აკლია მთავრობას ხარჯების დასაფარავათ.

*) გადმოღებულია მოსკ. გაზ. „ნაშა მისლიდან“.

...ორბელის მამასახლისთან, რომელმაც ის სახლში გაუშვა. ეს გაიგო მაზრის უფროსმა ...ბაქრაძემ და მაშინვე დაიბარეს ურთმელი... თავისთან, მარა მალე განთავისუფლა და წაყენებას მასცა, აწი მაინც აღარ დაერიდო გზა... მამავალს, ვინც უნდა იყოს.

**ს. ფარცხმა?** (გურია). აქ დაუნგრიეს სახლი ...ბერძენიშვილს, როდესაც საბრალო მა... თმებს იწვნა და სახლიდან ნივთე... ...ამოლაგებას ვერ ასწრებდა—საბრალოსთვის ...ურს ძალიან კარგი იმედი მიეცა, „ნუ გე..., ნივთები გამოალაგე, მე ჯერ აგერ მიგ... სამსონ ბერძენიშვილისას, ჯერ მის სახლს ...წვავ და მერე თქვენთან გამოვიარ და თქვენ ...ებს დაგინგრევთო.

...და ერთი ვკითხოთ, რა დანაშაულობა მიუ...ათ იმ საცოდავ ბერძნიშვილებს, რომ სულ ...ნათ გაანადგურეს? არაფერი. მაგრამ სულ ...უმობის ბრალია, რომელმაც კერძო ინტერე...ების ნიადაგზე იჩინა თავი...

**დ. ბორჯომი.** რეაქციის გაძლიერებას მო... ხულიგნების თარეშობა. მოქმედება ასეთია: ...ური ხულიგნები, წერილებით თუ პირადათ ...რწმუნებდნენ ადგილობრივ ჯარს და კაზაკებს, ...რომ ხალხი მათ თავზე დაცემას უპირებდენ. ...ც ამათ მოუსვენეს ხულიგნებმა, რომლებთა ...ქეზებით სალდათები და მეტადრე კაზაკები ისე ...ედრდნენ მცხოვრებლების წინააღმდეგ, რომ ...რის პირველ რიცხვებში, მცხოვრებლების ...ედი ნაწილი გაიხიზნა სოფლებსა და ქალ...ქებში. ძარცვა-გლეჯა და ცემა-ტყეპა—...რ მოუღლნათ გადაიქცა. მართალია, ჯარის ...რისი დაპირდა ხალხის დეპუტატებს—რეპრე...სიულ ზომებს არ ვიხმართ, მაგრამ უაზახები ...უფსის არ იშლიან. შებინდდებოდა თუ არა, ეს ...კიტონები შეუდგებოდნენ თავიანთ ჩვეულებრივ ...საქმეს: სტეხდნენ დუქნებს და ძარცვავდნენ, სცემ...დნენ გამვლელ-გამომვლელს და ართმევდნენ ყო...ველივეს, რასაც უპოვნიდნენ. ამასთანავე შინაურ... ქურდ-ბაცაცებმა დაიწყეს თარეშობა; ისე კვი...რა არ გავა, რომ ორჯერ მაინც არ დაეცენ ვინ...მეს. პოლიცია მათ წინააღმდეგ არავითარ ზო...მებს არ იღებს, ან და როდის უფიქრია მიეღო ...ზომები?

რეაქციის წყალობით, ბორჯომის ზოგ-ზოგ ...მებართაგანმაც გაიმაგრა ზურგი. ყოველ-გვარი ...ხსრნილი ერთი ორათ გაადვირეს, და თან ამ...ობენ: „ჩვენ კი არ გავაძვირეთ „ზაბასტოვ...ქამ“ გაადვირესო“, აი, როგორ ურცხვათ მარ...თლდებიან თავს ჩვენი ვაჭრები!

...ზე ნაკლებ არც ზოგიერთი მცხოვ...რებლებთაგანი იქცევა. მაგ. ბორჯომის მამულის ...ები ბ-ნი გეიტცი, რომლის მიერ ერთ-ერ...გიფიცვის დროს ქრისტეშობის თვეში ნათქვამი ...სიტყვები: „თუ მამული სახელმწიფო ხაზინას ...ს გადაეცა, მე მუშებს არ დავითხოვ, გაფი...ცის დღეების ქირაც მიეცემათო; თუ მუშებს ...დავითხოვ, მეც მათ თან უნდა გავყვეო“. დღეს ...ხლ წინააღმდეგს ჩადის. ძველი მუშები ყვე...ლანი დაითხოვეს, მამული ხაზინის ხელში არ ...გადასულა. მარა გეიტცმა რამდენიმე ოჯახი მაინც ...ულუკმა-პუროთ დასტოვა, მუშის ქარხნის პატ...რონმა კი დიდების მაგიერ სამუშაოთ პატარა ...ბავშვები 10 წლიდან 15 წლამდე მაიღო და უზომო შრომით უკარგავს საწყლებს ჯანმრთელობას.

თებერვალში ბორჯომელებს ადმინისტრაციის განკარგულებით დააკისრეს „ურადნიკის“ ჯამაგირის გადება. დეპუტაციის საშუალებით მცხოვრებლებმა სთხოვეს მამულის გამგეს, რომ ზემოხსენებული ხარჯი მიეღო მამულის გამგეობას, რომელიც მრავალგვარ გადასახადებით სულს უხუთავს აქაურებს; მაგრამ გამგემ უარი უთხრა.

5 მარტს ადგილობრივმა პოლიციამ მოულოდნელათ სოფლებიდან დაბარებულ ხალხს გამოუცხადა, რომ მალე მოწვეულ იქნება სახელმწიფო სათათბირო. ბოქაულმა პოლიციურ მეჭევრმეტყველობით აუხსნა მათ სათათბიროს მნიშვნელობა და ისიც დაუმატა: „თუ ვინმე მთავრობის წინააღმდეგ ამ არჩევნების დროს იმოქმედებს, სიტყვით თუ მოქმედებით სამხედრო სამართალში მიეცემაო“. ამის შემდეგ ხალხს წინადადება მისცა ათ კომლზე ერთი კაცი აერჩიათ. ხალხიც შეუდგა არჩევნებს; არჩევნებს „სტრაჟნიკებიც“ დაესწრნენ. აირჩიეს გლეხები და რამდენიმე მოქალაქე. ამათ ე. ი. ათისთავებს თავის მხრიდან უნდა აერჩიათ ორი რწმუნებული სამაზრო კომისიისთვის; მაგრამ ამ დღეს არ აურჩევიათ; დღემდე რაღაცა მიზეზების გამო შემდეგ არჩევნები აღარ მომხდარა.

საზოგადოთ, ხალხი ძალიან უგულოთ ეკიდება არჩევნებს და არც იღებს მხურვალე მონაწილეობას, ბევრი მათგანი ამას იძახის: „ერთხელ მანიფესტით მოგვატყუილა მთავრობამ, ვაი თუ ეხლაც მოგვატყუილოს და ჩვენი ამორჩეული კაცები ციხეში ჩასვასო“.

ხულიგნებთან ერთად გამრავლდნენ მატყუარა მუქთა მჭამელებიც. ამ დღეებში აქ მოვიდა ვიღაც ბერძენი და თან მოიტანა რომელიღაც წმიდანის ხატი—მიწაში ნაპოვნი. გამოუცხადა ხალხს—მეტადრე ბერძნებს, რომ რასაც სთხოვთ მოგეცემათო, ხატს ავათმყოფს გულზე ადებდნენ მორჩებაო; ხატის პატრონს კი ჯიბე ევსებოდა ფულით. აქედან ეს ვაჟბატონი გაემგზავრა ახალციხისაკენ; იქაც მოატყუა ხალხი და აკრიფა ფული; ამ მატყუარას დიდ მფარველობას უწევდა ბორჯომელ ბერძნებს მღვდელი დ—ვი.

დროებით ბორჯომელი.

### გაზ. „ცნობის ფურცლის“ საქმე.

როგორც მკითხველებს ეხსომებათ ამ ერთი კვირის წინეთ თფილისის დროებით გენერალ-გუბერნატორმა შემდეგი წინადადება გაუგზავნა „ცნობის ფურცლის“ რედაქტორს: „შვიდი დღის განმავლობაში წარმოადგინეთ შეურყეველი საბუთები იმ წერილების სიმართლის დასამტკიცებლათ, რომლებიც იმერეთის აოხრებას ეხებიან და რომლებშიაც ჯარს ხალხის ამოხოცვას, დედაკაცების გაუპატიურებას და ქალაქებისა და დაბა-სოფლების განადგურებას და აკლებას აბრალებენ. თუ ამ ვადის განმავლობაში არ წარმოადგენთ დამამტკიცებელ საბუთებს გაზ. „ცნობის ფურცელი“ დაიკეტება, ვიდრე ტფილისის გუბერნიაში სამხედრო წესები არ მოიხსნებაო“.

როგორც ხედავთ, ეს გვარიანი საგრძნობელი მუქარა იყო. როგორ ფიქრობთ, რას ეძახის ბ-ნი გენერალ-გუბერნატორი „შეურყეველ საბუთებს“! განა იმაზე მეტი შეურყეველი საბუთი შეიძლება, რასაც თვით სინამდვილე, თვით გაშიშვლებული სამართლე ლაღადებს? განა შესაძლებელია ყველა იმის გაზეთების ფურცლებზე მოქცევა, რაც დღეს მთელ რუსეთში, და კერძოთ იმერეთში და ქართლში ხდება? ან შესაძლებელია ხალხი გაგიჟდა და თვითონ იკლავს თავის თავს, წვავს და დაგავს თავის სახლკარს და თავის სარჩო-საბადებელს და თოველში და სიცივეში თავისივე ნებით გარბის ტყეში და ღრეში თავის შესაფარავათ მცირე-წლოვანი ბავშვებით? მაგრამ ბ-ნი გენერალ-გუბერნატორი ალბათ პოლიციის მიერ შემოწმებულ საბუთებს თხოულობს! ეს ხომ ყველასთვის აშკარაა, რომ ასეთი საბუთების შოვნა რედაქციისათვის შეუძლებელია, და მით უმეტეს დღევანდელ პირობებში. ყოველ შემთხვევაში „ცნ. ფ.“-ის რედაქციას ამ მცირე ხნის განმავლობაში მაინც მოუხერხებია ბევრი აღმაშფოთებელი საბუთების შეგროვება, რომლებიდან ზოგი თვით პოლიციის მიერ არის შემოწმებული და ზოგიც ხელმოწერილია რამდენიმე კაცის მიერ; ყველა ეს მეტათ საყურადღებო მასალა ქვეყნის აოხრებისა მოთავსებულია „ცნ. ფ.“-ის გუშინდელ (№ 3035) ნომერში.

ხსენებული ნომერი რედაქციას გაუგზავნია კავკასიის ნამესტნიკისთვის და თვით ბ-ნ გენერალ-გუბერნატორისათვისაც განცხადებით, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია:

„უფრო დაწვრილებით „დაურღვეველ საბუთების“ წარმოდგენისათვის კი საჭიროა:

1) უფრო გრძელი ვადა, დაახლოვებით ორი თვე;

2) თქვენი ნებართვა, რომ შეიძლებოდეს თავისუფლად ვისარგებლოთ ოფიციალურის მოხსენებებით მთავრობის სხვა და სხვა დაწესებულებებში;

3) გაგზავნა თქვენის საგანგებო მოხელისა „ცნობის ფურცლის“ ორ თანამშრომელთან ერთათ ქართლსა და დასავლეთ საქართველოში ადგილობრივ გამოსაძიებლათ, და

4) სრული ხელუხლებლობა იმ პირებისა, რომელნიც ფიცის ქვეშ შეამოწმებენ ყოველგვარ ძალმომრეობას.

როცა ეს პირობები ასრულებულ იქნება, რედაქცია აღნიშნულ ვადის განმავლობაში დაამტკიცებს, რომ „ცნობის ფურცელ“-ში დაიბეჭდა მხოლოთ პატარა ნაწილი იმ ფაქტებისა, რომელნიც ახასიათებენ ეგრედ წოდებულ „დამშვიდებ რაზმების“ ძალმომრეობას საქართველოში.

ხოლო ჭეშმარიტება, რომელსაც ასე გულმოდგინეთ ეძებს ბ. გენერალ-გუბერნატორი, საუკეთესოთ გამოირკვევა ან საჯარო სასამართლოს შემწეობით ან სენატის საჯაროვე რევიზიით“.

ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ ბ-ნი გენერალ-გუბერნატორი სრულ თავის თანხმობას განაცხადებს ამ წინადადებაზე!

## მუშათა ცხოვრებიდან

**ნოქრების გაფიცვა.** რეაქციით წაქეზებულმა ხაზეინებმა თავი წამოსწიეს და შემდეგი სიტყვებით მიმართეს თავის ნოქრებს: თქვენ ეხლა დამარცხებული ხართ და როგორც გიბრძანებთ, ისე უნდა მოიქცეთო, თუ არ გესიამოვნებათ შეგიძლიათ მიბრძანდეთო; იციან ბატონმა ხაზეინებმა, რომ ადგილის შოვნა ძალიან ძნელია ნოქრებისთვის და ჯამაგირის მომატების მაგიერ უკლებენ კიდეც, ექვს საათზე დაკეტვის მაგიერ შვიდ საათზე ჰკეტავენ, ერთი საათის დასვენების მაგიერ (პურის ჭამისთვის) მაღაზიიდან სულ არ უშვებენ, იქ ატანინებენ კერძს და იქვე ისე ფეხზე მდგომარეს ასადილებენ. აი მაგალითათ ერთი ხაზეინი სასახლის ქუჩაზე ბ-ნი **ხარაზოვი.** მასმა ნოქრებმა ვეღარ აიტანეს ასეთი შევიწროება და გაიფიცნენ. წარუდგინეს ხაზეინს თავიანთი მოთხოვნილება. რა თქმა უნდა ამ დიდი ვაჭრობის დროს არ ეპიტნიკა ადას ნოქრების ასეთი ქცევა და ძალიან გაჯავრდა. დაემუქრა ყველას აქედან გაგაგზავნით თუ არ მოხვალთ და არ იმუშავებთო. მაგრამ ასეთმა მუქარამ ნოქრები ვერ შეაშინა და მაინც აგერ ერთი კვირაა გაფიცვას განაგრძობენ. მაგრამ ბ-ნი ხარაზოვი თავის სიძის შემწეობით მუშაობს მაღაზიაში (სიძე მაღაზიაში მსახურობს) და არ აკმაყოფილებს ნოქრების მოთხოვნილებას—ვინხთა სადამდის!

რ. ჯ.

**ჭიათურა.** გაძლიერდა რეაქცია თუ არა, მასთან ერთად გათამამდა ადგილობრივი წვრილფეხა ექსპლოატატორებიც დაიწყეს, ძველებურა მრავალ საფეხურიანი ყლეფა: ყლეფს მუშას ეგრეთ წოდებული „შეფუთ“, შეფუთს—წვრილი მრეწველი, მხოლოთ უკანასკნელს კი ექსპლოატაციო დაქირავებულ, დაშვ, მწონელ-კანტროლიორების შემწეობით. ძნელი მოსასწობელია ასეთი პროფესიის ხალხი. ამ ცხოვრებისაგან ჩამორჩენილ ვაჟ-ბატონებს აშკარა ქურდობა ხელობად გაუხდიათ. აშკარათ აცლიან ხელიდან საწყალ დაბეჩავებულ ხალხს სამწრით ნაშრომ-ნათვალარს. მწონელი პარავს წონაში, პარავს ანგარიშში და თუმცა ამას აშკარათ ხედავს მშრომელი, მაგრამ რა ქნას, როდესაც დღეს დღეობით, მაზე ძლიერია მეველეველი. ასეთი ვაჟ-ბატონები მართალია, შავი ქვის საბჭოსაგან დანიშნულია სასწორების მეთვალყურე „კანტროლიორ“ და საკმაო ჯამაგირიც აქვს მინიჭებული მწონელების ასალაგმავათ, მაგრამ ერთი კაცი რას გახდება, როდესაც მარტო ჭიათურაში ასზე მეტი სასწორი მუშაობს და დანარჩენი კი ღვთის ანაბარათაა მიტოვებული.

მწონელ კანტროლიორებს არც აქაური მრეწველები ჩამორჩებიან. ამ სამი თვის წინათ მათ მუშების მხსნელათ მოქონდათ თავი. მუშას ქვას ვუსწორებთ, კანტორებიდან ფულებს ვაძლევთ და მუშას ვურიგებთ; დღეს კი მუშა მათთვის ისეთი საგანია, რომელსაც ბევრი ქონი უნდა აძრონ.

ამ სამი თვის წინათ მუშა მუშაობდა დღეში 10 საათს და სულ ფას იღებდა 6—8 აბაზამდე; ეხლა კი თუმცა ქვის ფასი მომატებულია, მაგრამ მუშა 15—16 საათის მუშაობით სულ ფასს გაცილებით ნაკლებს ღებულობს. აქედან ცხადათ სჩანს, თუ ვინ არის მუშების ინტერესების დამცველი!

ადგილობრივი მუშა.

**ფუნიკულერი.** ჩვენ, ხელობით ელექტრომეხანიკები და ჩვენთან სხვა მუშებიც, ერთათ ვემსახურებოდით ელექტრო-ფუნიკულერზე, ფასი ყველას გვეძლოდა თვიურათ. ჩვენი მუშაობა ჩვენს უფროს ბ-ნ მუხარინსკისთან ასეთი გახლდათ:

ზამთრობით, როცა მუშაობა და მიმოსვლა შესწყდებოდა, ჩვენ უნდა აგვეღო მხოლოდ ნახევარი ჯამაგირი. თუ რამე შემთხვევით ბ-ნი მუხარინსკი ჩვენ უმიზეზოთ დაგვითხოვდა, მაშინ მას უნდა მიეცა ჩვენთვის სამი თვის ჯამაგირი. უმიზეზოთ და საქმის გამოუძიებლათ დათხოვნის უფლება მას არ ქონდა. ასეთი პირობა იყო დადებული ჩვენ ხელოსან მუშებს და ჩვენს უფროსს მუხარინსკის შორის. მაგრამ ბოლოს სულ სხვა გამოვიდა.

1905 წ. 18 დეკემბერს, რადგაც მანქანებით, ჩვენმა უფროსმა მუხარინსკიმ გამოგვიცხადა, ყველა მუშებს დათხოვნილი ხართ, რადგანაც მღელვარება წინ მიდის და მომავალ (1906) წელსაც გაფიცვა და ამ გვარები ბევრჯერ იქნება, ხალხი ცოტა ივლის ფუნიკულერით და ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ფუნიკულერი აღარ ვამუშაოთ და უნდა დაგითხოვოთო. თუ საქმე უკეთ მოეწყო და მიმოსვლას დავიწყებთ, თქვენვე მიგიღებთ სამუშაოთო. მანამდი თვეში ერთხელ უნდა მოხვიდეთ აქა, მანქანები ნახოთ და მოძრაობაში მოიყვანოთ, რომ აკუმულატორი არ გაფუჭდეს, ამ საქმესაც რამდენი მუშაც მოუნდება და რამდენ ხანსაც იმუშავებთ, ჩვენც იმის ფასს მოგცემთ დღიურათო.

ჩვენ ხელოსან მუშებმა უეჭველად ეს ვირწმუნეთ, გამოვართვით სამ-სამი თვის ჯამაგირები და ქაღალდზე ხელიც მოვაწერეთ, სადავო არა გვაქვსრაო. ესეც, რასაკვირველია თურმე მანქანება იყო. ეხლა შევიტყვეთ, რომ საქმე სულ სხვანაირათ ყოფილა და ჩვენს უფროსს ჩვენი მოტყუილება სდომებია, თავიდან მოცილება და შემდეგ უფრო იაფათ სხვა მუშების მოძებნა.

ჩვენ მისი ეშმაკობა არ ვიცოდით, მოვტყუვდით და ქაღალდზე ხელი მოვაწერეთ, რომ მასთან სადავო არაფერი გვაქვს. მესამე დღეს რაც ბ-ნი მუხარინსკი ცდილობს ახალი მუშები იშოვნოს, რასაკვირველია უფრო იაფათ ამაში არც მოტყუვდა იგი, დღევანდელი რეაქციის წყალობით მან იშოვნა რამდენიმე თავის საბრალო და როგორც იქნა 22 მარტს, მუშაობასაც შეუდგენ. მუშაობა მომუშავეთ ძლიერ უჭირთ, რადგან მათ ამ ხელობის არაფერი გაეგებათ. ამიტომ დავსძენთ საზოგადოების საყურადღებოთ, რომ მათ მუშაობას მიმოსვლის დროს შიში და განსაცდელი მოელის. როგორც ვნახეთ, ბ. მუხარინსკის მუშების კომპლეკტი უკვე შეუდგენია, საქმე მოურიგებია, რასაკვირველია თავის სასარგებლოთ; იაფათ დაუჭერია მუშები, რამდენი ხანიც უნდა იმდენ ხანს ამუშავებს.

ამიტომ ამ გარემოებას ჩვენ ყველა მუშები პროტესტს ვუცხადებთ საზოგადოების წინაშე. საჭიროა, რომ ამ გარემოებას სხვა მუშებმაც მიაქციონ ყურადღება.

ვთხოვ რუსულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

ხიკო.

# რუსეთი

**რეზოლიუციის პროექტი.** „მეუმრავლესეთა“ ფრაქციამ მომავალ გამაერთიანებელ სიეზდზე დასამტკიცებლათ შეიმუშავა შემდეგი რეზოლიუცია, იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სოციალდემოკრატების დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან:

ვიღებთ რა მხედველობაში: 1) რომ სოციალდემოკრატია ყოველთვის აღიარებდა ოპოზიციონურ მოძრაობას მხარს დაჭერას; 2) რომ დღეს, როცა რევოლიუციას აშკარათ გამოჰყავს სხვა და სხვა კლასები და ამ ნიადაგზე არკვევს მათ პოლიტიკურ სახეს,—პარტიათ ქმნის—სოციალდემოკრატიის აუცილებელ მოვალეობას შეადგენს მათი კლასიური შინაარსის გამომჟღავნება და ამის და გვარათ დაიჭიროს მათთან დამოკიდებულება; 3) რომ სოციალდემოკრატია რომელიმე პარტიასთან დამოკიდებულების დაჭერის დროს განსაკუთრებით იმას უნდა აქცევდეს ყურადღებას, თუ რამდენათ ესა თუ ის პარტია აქტიურათ ეხმარება იმ მიზანს, რომლისკენაც პროლეტარიატი მიილტვის; 4) რომ ამ თვალთახედვის ისრით რუსეთში არსებული არა სოციალდემოკრატიული პარტიები (რეაქციონურ პარტიების გამოკლებით) ორ მთავარ ჯგუფებათ განიყოფებიან: ლიბერალურ-მონარქიული და რევოლიუციონურ-დემოკრატიული პარტიები.

ჩვენ წინადადებას ვაძლევთ სიეზდს შემდეგი დადგენის:

1) რომ ლიბერალურ-მონარქიული პარტიების მარჯვენა ფრთა (17 ოქტომბრის კავშირი, უფლებრივი წესრიგის პარტია, სავაჭრო-სამრეწველო პარტია და სხ.) წარმოადგენენ მემამულეების და მსხვილი ბურჟუაზიის კლასიურ ორგანიზაციას, ცხადათ კონტრ-რევოლიუციონურს, რომელსაც ჯერ კიდევ არ მიუყიდია თავის თავი ბიუროკრატიისათვის, რომ მასთან ერთად უფლება გაიყოს; რომ პროლეტარიატის პარტიამ უნდა ისარგებლოს ამ დროებითი კონფლიქტით და ამასთანავე სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს მათ; 2) რომ ლიბერალურ-მონარქიული პარტიების მარცხენა ფრთა (დემოკრატიულ რეფორმების პარტია და პარტია კონსტიტ. დემოკრატებისა) არ არის ჯერ განსაზღვრული კლასიური ორგანიზაცია, წამ და უწუმ ირყევა დემოკრატიულ წვრილ ბურჟუაზიასა და კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს შუა, მას კიდეც სურს დაეყრდნოს ხალხსა და კიდეც ეშინია მისი რევოლიუციონური თვით მოქმედების; რომ ისინი ვერ გაშორებიან გაუმჯობესებულ ბურჟუაზიული საზოგადოების იდეალსა, სოციალდემოკრატიამ უნდა ისარგებლოს ამ პარტიის მოქმედებით ხალხის პოლიტიკურათ აღსაზრდელათ, სოციალდემოკრატიამ მათ ცბიერ-დემოკრატიულ ფრაზეოლოგიას უნდა დაუპირდაპიროს პროლეტარიატის სწორი დემოკრატიზმი და შეუბრალებლათ უნდა ახადოს ფარდა მათ კონსტიტუციონურ ილუზიებს. 3) რომ რევოლიუციონურ-დემოკრატიული პარტიები (სოციალ-რევოლიუციონერები, გლეხთა კავშირი, ნაწილი ნახევრათ პროფესიონალურ და ნახევრათ პოლიტიკურ კავშირებისა) ყველაზედ უფრო ახლოს დგანან გლეხობის და წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებთან, რომ გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ბატონყმობის ნაშთებსა და მემამულეების მიწათ მფლობელობას, რომ ცდილობენ დემოკრატიზმის ვრცლათ გაყვანას და თავის, არსებითათ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ მიდრეკილებას, ბურჟუაზიან სოციალისტურ იდეოლოგიაში ხვევენ,—სოციალ-დემოკრატია შესაძლებლათ და აუცილებლათ სცნობს მათთან დროებით შეთანხმებას და ამასთანავე ებრძვის მათ, არკვევს მათ ცრუ სოციალისტურ ხასიათს და მისწრაფებას—დანერგოს კლასიური წინააღმდეგობა პროლეტარისა და წვრილ მესაკუთრეთა შორის. 2) რომ დროებით შეთანხმება დღევანდელ პირობებში მხოლოდ ისეთ ელემენტებთან შეიძლება, რომლებიც აქტიურათ დაუჭერენ მხარს ბრძოლის იმ საშუალებებს, რომლებსაც სოციალ-დემოკრატია ადგია.

**პეტ. შეერთ. სოც. დემოკ. კომიტეტი** თხოვს, რომ პარტიის სახელით მხოლოდ ის პარტიული მუშაკები გამოვიდნენ საკამათოთ სხვა პარტიების კრებებზე, რომლებიც აგიტატორთა კოლეგიას ეკუთვნიან, ან და ორგანიზაციის ნება რთავს აქვთ.

**საყურადღებო შუამდგომლობა.** შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე რამდენიმე სოფლის საზოგადოებებმა შუამდგომლობა აღძრეს—სათათბიროში განსაკუთრებული ადგილები მიეცეთ **კერძო არჩეულთაც**, რომელთაც სოფლის საზოგადოებები გამოგზავნიან კანდიდატებს გარდა. ასეთი კაცების სათათბიროში გაგზავნა ზედმიწევნით საჭიროა ჩვენთვის და კიდეც მოვკრიბეთ მათთვის საკმაო გზის ფულებიო. რაც შეეხება ხარჯს თვით პეტერბურგში, ამის შესახებ გლეხები აცხადებენ, რომ ის ათი მანეთი, რომელიც სახელმწიფო სათათბიროს წევრთ მიეცემათ დღიურ ხარჯათ, ამ ჩვენ მიერ არჩეულ კაცებსაც თამ მათ ეყოფაო.

**ბიუროკრატიის სამეფოდან.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ბრძანა—იმ ქალაქებიდან, სადაც სამხედრო წესებია შემოღებული, გადაასახლეთ თავის სამშობლოში ისეთი პირები, რომელთაც რაიმე სამუშაო არა აქვთო.

— თავრიდის სასახლეში, სადაც სახელმწიფო სათათბირო უნდა შეიკრიბოს, განსაკუთრებული საპოლიციო დაწესებულება იქნება, რომლის განკარგულებაში მუდამ იქნება ორი რაზმი სალდათისა და ნახევარი ასეული კაზაკები.

— მთავრობის განკარგულებით პეტერბურგის ქალაქის სამართველო წითელ ბაირაღებსა და ფანრებს მწვანე ფერით ცვლის. წითელი ფერი, რომელიც რევოლიუციონერების ნიშანია არ შეე-

---

საშინელი დიდი ფული დაჯდა იაპონიასთან ომი. 1904 წელს ომზე დაიხარჯა—677 მილიონი მანეთი, 1905 წელს—1 მილიარდი და 1906 წელს განზრახულია ამ ხარჯების დასაფარავათ დაიხარჯოს—405 მილიონი მ., ერთათ სამი წლის 2,082 მილ. მანეთი. დაღუპული ფლოტი კი, დაკარგული პორტ-არტური და შორეულ აღმოსავლეთი თავიანთი სიმაგრეებით, მანჯურიის რკინის გზა, არტილერია, ნახევარი სახალინი, ცხენოსანი და ქვეითი ჯარის შეიარაღება, მათი კვება, გადაზიდ-გადმოზიდვა? და კიდევ რამდენი სხვა ჩამოვითვალოთ? ასე რომ ეს დაკარგულები ერთ მილიარდზე მეტი იქნება.

ამნაირათ ფულათ რომ ვიანგარიშოთ ეს უბედური ომი სამი მილიარდი მანეთი უზის რუსეთის ხალხს. და როგორ ფიქრობთ, რითიმე სასარგებლო იყო? სრულებითაც არა. ამ ომმა იგი სულ ერთიანათ სულიანხორციანათ ძირს დასცა. მერე ვინ ჩამოთვლის რამდენი ახალგაზრდა გამოესალმა წუთი-სოფელს! რამდენი სიცოცხლით სავსენი ახალგაზრდა დაილუპა დიდ ოკეანეს უფსკრულში?!.. რამდენი დასახიჩრდა? ყველა ამას მიუმატეთ დახოცილ-დაღუპულთა და დასახიჩრებულთა სარჩენი წვრილი ცოლშვილი და მოხუცი დედ-მამა და შეიძლება რამდენიმეთ წარმოდგენა იქონიოთ ამ საშინელ სინამდვილეზე! ეს ყველაფერი გლეხებს და მუშებს სარჩენათ თავს დააწვა. მათ გაღატაკებულ კერას ემატება. გადასახადებსაც მთავრობა თანდათან უმატებს. ამ დაკარგულებზე ფინანსთა მინისტრი სდუმს! ან კი რა ეთქმის!?

როგორც კი უძნელდებოდა მთავრობას ვალების აღება, იგი ხაზინის გასავსებათ ქაღალდის ფულს უშვებდა. მართალია ეს ადვილი იყო, მაგრამ იმავე დროს ძლიერ საშიშიც იყო. საზოგადოთ ქაღალდის ფულს ყველა სახელმწიფოებში ხმარობენ, ვინაიდან საშინაო აღებ-მიცემობაში, შინაურ ბაზარზე, იგი ადვილათ მოსახმარია, ვინემ ოქრო ან ვერცხლი. ქაღალდის ფულს იმდენს უშვებენ, რამდენიც საჭიროა შინაურ ვაჭრობისთვის. საერთაშორისო ანგარიშში კი ოქროს ფულებით ხდება. რომ ქაღალდის ფულს ფასი არ დაეკარგოს და შემთხვევის დროზე შეიძლებოდეს მისი გადაცვლა ოქროსაზე, უშვებენ იმდენს, რამდენიც ოქროა. სხვა სახელმწიფოებში ქაღალდის ფული ღირს იმდენი, რამდენიც ოქრო. ჩვენში კი დღიდან მისი შემოღებისა იგი ყოველთვის ნაკლებათ ფასობდა. ერთი მანეთიანი ქაღალდის ფული არ უდრიდა იმავე ღირებულების ოქროს. იგი ხან ძვირდებოდა ხან დაიწევდა. ეს, რასაკვირველია, იმიტომ ხდებოდა, რომ ზედმეტს უშვებდენ. ამით დიდი ზარალი მოსდიოდა, როგორც ხალხს, ისე სახელმწიფოსაც. ბოლოს როგორც იქნა კურსი დაათანასწორეს; ამიტომ საჭირო შეიქნა საზღვარ-გარეთიდან სესხი. სახელმწიფო ბანკში იქნა შენახული ოქროს ფული და კანონით იქნა დადგენილი, რომ ქაღალდის ფული არ გამოუშვათ $1^1/_2$-ზე მეტი შენახულ ოქროს ფულზე. ნამდვილათ კი ქაღალდის ფულის კურსი რომ არ დაეცეს, შენახული თანხა კანონით დადგენილზე გაცილებით მეტი უნდა იქნეს.

ვანო.

(დასასრული იქნება).

ძლება ცეცხლის მქრობელ რაზმის სიგნალათ იყოსო...

— ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ სამმართველოს უფროსი სევასტიანოვი 15 მარტს რომში გაემგზავრა ფოსტა-ტელეგრაფის კონგრესზე დასასწრებათ. იტალიელი ფოსტა ტელეგრაფის მოხელენი, რომელთაც რუსეთის მოხელეებს თანაგრძნობა გამოუცხადეს გაფიცვის დროს, სევასტიანოვის საწინააღმდეგო მანიფესტაციის გამართვას აპირებენ. ეს ამბავი უკვე აცნობეს სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირის ცენტრალურ ბიუროს პეტერბურგში.

ვნახოთ, რას უზამს იტალიელ მოხელეებს რუს მოხელეთა უფროსი!

**აგრარული მოძრაობა.** ადესის მაზრის სოფ. ანასტოლიევკაში სისხლის ღვრა მოხდა. მემამულე ბრილცი გლეხებს ცუდ მიწებს აძლევს იჯარით. ახლა გლეხებმა უკეთესი მიწები მოსთხოვეს და როცა უარი მიიღეს, თავის ნებით დაიწყეს მუშაობა. ბრილცმა ბოქაულს შეატყობინა, რომელმაც დაუყოვნებლივ მოუშველა 23 სტრაჟნიკითა და ჟანდარმით. მოვიდნენ თუ არა დაერიენ გლეხებს, ერთი მათგანი მოკლეს და დანარჩენები დასჭრეს.

ამ ჟამათ „შინაური მტრები" დამარცხდნენ.

**არჩევნები.** მოსკოვის ებრაელებმა გადასწყვიტეს თავისი ხმები მისცენ კონსტიტუციონალ-დემოკრატებს.

**კაპიტალი რუსეთიდან მიემგზავრება.** როგორც კომერციული ბანკების ცნობებიდან სჩანს, მათი ოპერაცია ძალიან შესუსტებულა იმის გამო რომ კაპიტალს რუსეთში აღარ აბერებენ. 1905 წლის ივლისიდან დეკემბრამდე ოპერაცია შესუსტებულა 572 მილიონ მანეთიდან 494 მილიონამდე, კრედიტორების ანგარიში 270 მილიონიდან 229 მილიონამდე. ამასთან ბანკის ვალები 52 მილიონიდან 150 მილიონამდე ავიდა, ე. ი. 3 ნახევარი იმატა.

**ქურდობა.** დღითი დღე სულ მეტი და მეტი ცნობები მოდის იმის შესახებ, რომ მთავრობა იჭერს ამა თუ იმ მისთვის არა სასურველ კანდიდატებს სახელმწიფო სათათბიროშიო.. მთავრობა დაერიდებლათ პარავს ხალხს ხმას, იპარავს ყველა იმათ, ვისაც სხვისი ქურდობის გამხელა შეუძლია... და ამ გაქურდულ სახელმწიფო სათათბიროში მერმე მთავრობის წარმომადგენელნი იტყვის—ხალხის ნამდვილი ხმა მინდა გავიგონოვო...

## წერილი რედაქციის მიმართ

თქვენ პატივცემულ გაზეთ „ელვის" მე-8 №-ში დაბეჭდილია მცირე შენიშვნა ამ სათაურით: „თფილისის სასტუმროები". ავტორი ამ შენიშვნისა ეხება ჩემს პირადობას, ავის სიტყვებით მიხსენიებს მე და მასთან ცილსაც მწამებს. ამისთვის გთხოვთ, სიმართლის აღსადგენათ, ადგილი მისცეთ თქვენივე გაზეთის მახლობელ ნომერში ამ პასუხსაც:

ავტორი შენიშვნისა ამბობს: „დაიწყო მოსამსახურეების მოძრაობა თუ არა, ამ ბატონმა (ჩემზე) მაშინვე დაიწყო შეგნებული მომუშავეების დათხოვა და კიდეც დაითხოვა ერთი (?) საუკეთესო ამხანაგთაგანი წარსულის წლის ლეინობისთვეში, მაგრამ მალე იძულებული გახდა უკანვე მიეღო..." მე არც რამოდენიმე დამითხოვია და არც ერთი. საქმის გარემოება ასე იყო: ის ერთი მოსამსახურე, რომელიც ვითომ მე უნდა დამეთხოვა, დაითხოვეს მისმა ამხანაგებმა და აი რისთვის: 1. არაფერს არ აკეთებდა, არ მუშაობდა (სხვა და სხვა დიდი საქმე ჰქონდა) და 2. იმისთვის, რომ საერთო ფულების (ჩემს სასტუმროში მოსამსახურეებს კასა აქვთ და მასში ინახავენ ნაჩუქარ ფულებს, ბოლოს თანასწორათ იყოფენ) ნახევარი მოითხოვა, როგორც უფროსმა ამხანაგმა. ეს იყო მიზეზი მისი დათხოვნისა. ბოლოს ისევ ჩემის რჩევით მიიღეს ის ამხანაგებმა, არ გასულა მას აქეთ ერთი თვეც, საერთო გაფიცვა მოხდა. გაფიცვის შემდეგ, ის მომუშავე არ გამოცხადდა სხვა და სხვა მიზეზთა გამო. ჩვენ იძულებული ვიყავით მის ადგილზე სხვა მიგვეღო. (მარტო მე ვინ მკითხავდა!) ამის შემდეგ მობრძანდა ის დათხოვნილიც, მაგრამ უადგილობის გამო ვერ მივიღეთ და მისი ამხანაგების გადაწყვეტილებით სამი თვის ქირა კიდევ წინდაწინ მივეცი.

რაც შეეხება მეორე შენიშვნას, ვითომ მე ხამი და გამოუცდელი მოსამსახურეები მყავდეს, ეს მტკნარი სიცრუეა. ჩემთან 4-5 წლის ნამსახური ლაქიები დგანან. მართალია, ახლებიც მყავს, მაგრამ ისინი ჩემი ძმისწულები და ბიძაშვილები არიან. სხვათა შორის, შენიშვნის ავტორი ამბობს ჩემზე: „როცა ახალი მოსამსახურეები შეეჩვიენ მუშაობას, ბ-ნმა ხაზეინმა ისევ ატეხა აურ-ზაური, მიტყეპ-მოტყეპა (ნეტავ როდის და ვინ?) ზოგიერთი ძველი მომუშავე და ის იყო მოაწია დეკემბრის გაფიცვამ..." ნუ თუ ერთს თვეში შეეჩვიენ სამსახურს სოფლიდან ჩამოყვანილი ბიჭები? და ხაზეინს შეეძლო შარშან გამოცდილნი მოსამსახურეები მიეტყეპმოეტყეპა?!

კიდევ ერთი, ვითომ მე უნდა მეთქვას: „მე ხუთი ბერდანის თოფები და ერთი რევოლვერი მაქვს (არსენალი მქონია რაღა!) და თქვენ რა შეგიძლიათ ჩემთან". ბ-ნო შენიშვნის ავტორო! სიცრუესაც ჰკუა უნდა. ხუთი თოფი ერთს კაცს საბრძოლველათ რათ მინდოდა? ქვეყანას ხომ არ ვეჩხუბებოდი? მე ფიზიკური ძალის იმედი არა მაქვს. მე რამდენათ სინიდისიერათ ვექცევი ჩემთან მომუშავეებს, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ ჩემთან 21 კაცი მუშაობს და არც ერთი მაგალითი არ ყოფილა, რომ ვინმე მეცემოს.

„სვეტის" სასტუმროს პატრონი **პავლე ბაქრაძე**

ჩვენ, ყველის საყვანის ქარხნის მუშები გთხოვთ დაგვიბეჭდოთ შემდეგი: ჩვენ ქარხანაში მუშაობს სულ 200 მუშა, ამათში ბავშვებიც ურევია, გასული წლის მაისში მუშები გაიფიცნენ თავის მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. გაფიცულთა მოწინააღმდეგეებათ გამოვიდნენ ზოგი ხაზეინები: მაგ., პატარა მოსესი, სტეპკო იარმურკიდან, კარაპეტ აულაბრიდან. გაფიცვა იმით დამთავრდა, რომ ხაზეინები დაგვპირდნენ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, თუ მუშაობას დავიწყებდით. და ამით თურმე ჩვენი დატყუილება უნდოდათ. ამნაირათ დაგვრჩა ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებები დაუკმაყოფილებელი. მაშინ მუშები მეორეთ გაიფიცნენ და მოითხოვეს ხელფასის მომატება ხელოსნებისთვის 40 მანეთამდე თვიურათ, მაშინ ხაზეინებმა მიიმხრეს 20-მდე მუშა და დაიწყეს საშინელი პროვაკაცია დანარჩენების წინააღმდეგ, ვითომც ისინი „არა კეთილსაიმედო" პირები იყვნენ. გაფიცულები ერთხმათ თხოულობენ იმ ოცი მუშის განთავისუფლებას ხაზეინების გავლენისგან, რომლე'მაც ისინი დანარჩენი მუშების წინააღმდეგ წაიყვანეს, ხაზეინებს უნდათ დანარჩენ კაპიტალისტებსავით, რომ დანარჩენი მუშები ქუჩაზე გაყარონ და ულუკმაპუროთ დასტოვონ დანარჩენი 180 მუშა, რომელიც მტკიცეთ თხოულობენ თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

მუშების რწმუნებული **ვანო ტაბლიაშვილი**

თქვენი გაზეთის მეხუთე ნომერში მოთავსებულია წერილი ს. მეტეხიდან, რომელშიაც სხვათა შორის ნათქვამია, რომ ასის-თავები და ათის-თავები დააბეზღეს, დააპერინეს და ამ სამარცხვინო როლს მღვდელი ასრულებდაო, მართალია სახელი და გვარი მღვდლისა არ არის გამოცხადებული, მაგრამ საზოგადოებას შეუძლია ჩემზე, როგორც ადგილობრივ მღვდელზე ეჭვი მოიტანოს. ამისათვის, წარმოგიდგენთ რა ხელწერილს თვით იმ ასისა და ათის თავებისას, რომლებიც დაპერილი იყვნენ, უმორჩილესათ გთხოვთ: ის სამარცხვინო ბრალდება ამხადოთ.

**მეტეხის მღ. ს. ბაიდოშვილი.**

იმ „ხელ-წერილს", რომელიც ამ წერილთან ერთათ მივიღეთ, ხელს აწერენ: სოსო მაზმოშვილი, საბა დათოშვილი, შაქრო მაზმოშვილი, მიხეილ აბუაშვილი, ალექსი მირზაშვილი და სანო გუგუდაშვილი, რომლებიც აცხადებენ, რომ ისინი დაპერის დროს არავის და მაშასადამე არც მღვდელს ბაიდოშვილს არ დაუბეზღებია. ამ ხელწერილს, ს. მეტეხის საზოგადოების თხოვნით, ამტკიცებს მეტეხის მამასახლისი ვასო გეჯაძე თავისი ხელის მოწერით და ბეჭედის დასმით. **რედ.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსავან).

22 მარტი.

**პეტერბურგი.** პეტერბურგში არჩევნების დროს მისცეს 976,805 ხმა. ამათ შორის კადეტების კანდიდატებმა მიიღო 580949 ანუ 59 და ოთხი მეათედი პროცენტი. დანარჩენმა პარტიამ მიიღო 395,856 ხმა, ანუ 22 და რვა მეათედი პროცენტი. კადეტების პარტია ქალაქის არჩევნებზე ენერგიულათ მოქმედობს კიევში, სადაც ერთ ნაწილში აირჩიეს 15 კადეტი, მეორეში—8 კადეტი და ორი უფლებრივ პარტიის წევრი, პავლოგრადში აირჩიეს 2 კადეტი; ენიაგინში—ერთი კადეტი, ლიპეცკში, ყაზანის მაზრაში და ვასილიესურგაჩში აირჩიეს მომეტებულათ პარტიის გარეშენი. მემამულეების არჩევნებზე უფის გუბერნიაში გაიმარჯვა კადეტებმა, მელეკესში და ეკატერინოსლავში კადეტები გაიშავეს. პოლონეთში გლეხებ შორის არჩევნები მშვიდობიანათ მიდის. სედლეცის გუბერნიის მაზრებში საშუალო რიცხვით ნახევარზე მეტი ამრჩევლები ესწრება. განსაკუთრებით სამ გმინში (სოფლის საზოგადოება) ქათოლიკები აირჩიეს, ლიუტერანები მართლმადიდებლებს შეუერთდენ და აირჩიეს ერთი მართლმადიდებელი და ერთი ლიუტერანი. ქათოლიკეებმა, ვინაიდან ისინი რიცხვით ნაკლებია, არჩევნებზე უარი განაცხადეს. მხოლოდ 4 ფაბრიკიდან არჩევნებზე მუშებმა უარი სთქვეს. ცხრამეტ ფაბრიკიდან 17 გლეხი და 5 ებრაელი აირჩიეს.

როგორც დეპეშებიდან სჩანს, ქალაქის სიეზდზე კიევში, გლაზოვში, მარიუპოლში, ნოვომასკოვში, ჩისტოპოლში, ორიოლში, ლისოვკაში, კიშენიოვში, ბალახანაში და მეორე სიეზდზე უფაში კადეტებმა გაიმარჯვა. ალექსანდროვში და კოზმედემიანში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს, მოგილიოვში და პოდოლსკში არჩევნები მოსპეს. მსხვილ მემამულეების სიეზდზე გაიმარჯვა პროგრესისტებმა, ეკატერინბურგის და მოგილიოვის მაზრაში კონსერვატორებმა—სოლკამეკომში, ჩორნოიარში, ნოვომოსკოვში და ხარკოვის მაზრებში გაიმარჯვა კონსერვატორებმა. ვიატკის გუბერნიაში—კონსერვატორებმა. ჩერნიგოვის საერობო კრებამ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრათ მ. ვ. კრასოვსკი. სახელმწიფო საბჭოს ამრჩეველათ აირჩიეს ტულაში სახალხო სკოლების დირექტორი ეფიმოვი, უკიდურესი მემარჯვენე; იურიევის უნივერსიტეტში აირჩიეს პროფესორი პეტეროსლოვი—მემარცხენე.

სახელმწიფო საბჭოს წევრათ პეტერბურგის გუბერნიის ერობიდან აირჩიეს პავლე ლეოპოლდოვის ძე კორფი. სამოსამართლო პალატამ წოდებათა წარმომადგენლების დასწრებით გაარჩია საქმე გაზ. „ნუვეი დერევნის" რედაქტორი მერტვის და გაამართლა ის. საოლქო სასამართლოში გაირჩა საქმე გაზ. „ნაროდნოე ხოზიაისტვოს" რედაქტორი გოლუბევისა, რომელსაც ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯეს.

სახელმწიფო საბჭომ მიიღო პროექტი სახალინზე გადასახლების მოსპობის. ვისაც კატორგა აქვს გადაწყვეტილი ისინი ამ საპყრობილე ციმბირის ციხეებში მოიხდიან, მაწანწალებს იაკუტის ჩრდილოეთ მაზრებში გაგზავნიან. სახელმწიფო საბჭომ ზღვაოსნობა იმ დაწესებულებას აკუთვნა, რომელშიაც 1905 წ. ორი დეკემბრის კანონით გაფიცვა აკრძალულია. სარატოვში, ბრიანსკში, ბაქოში, სლომინში, უმანში, სორმოვში, ეკატერინოსლავში, ლუგანსკში, ოდესაში, ბელოსტოკში, ხარკოვში, რიგაში და სმოლენსკში ამ უკანასკნელ კვირაში გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ბევრი რევოლვერები, პატრონები, ყუმბარები, დინამიტები და რევოლიუციური გამოცემები.

**როსტოვი.** (იაროსლავის გუბერნია) დამით 22 მარტს როსტოვის ახლოს გაძარცვეს მონასტერი. წაიღეს ფასიანი ქაღალდები. ბოროტგამზრახველები მიიმალნენ.

**რიგა.** დროებით სამხედრო სასამართლომ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ქრისტეფორე კრაუზეს, რომელსაც გოროდოვოის თავსდასხმა ბრალდებოდა.

**პოლტავა.** პოლტავიდან გამოსულ საქონლის მატარებელს შეიარაღებული ყაჩაღები დაეცა. დაჭრეს კონდუქტორი. ჟანდარმები, რომლებიც მოსაშველებლათ მოვიდნენ. ყაჩაღებმა სროლა აუტეხეს, დაჭერით ვერავინ დაიჭირეს. სადგურ პოლტავასორტიროვიჩში მოვიდა 17 ვაგონი ტყვიის მფრქვეველი. ღამე ვაგონი გატეხეს და ერთი ტყვიისმფრქვეველი მოიპარეს, მაგრამ ლიანდაგის ახლოს აღმოაჩინეს. მატარებელს იცავენ სალდათები.

**ხარბინი.** მოსული მონგოლები გადმოგვცემენ, რომ დალაი-ლამა ლუგიდან ლხასუში დაბინავდაო.

**დურბანი** (რეიტერი). ბომბატის მომხრეებმა ტელეგრაფის მავთულები გრეიტუნის ახლოს გააფუჭეს და პოლიციის რაზმს სროლა აუტეხეს, ორი სავაჭრო დაწესებულება გაძარცვეს, საიდანაც წაიღეს თოფები და ომისათვის საჭირო მასალები.

არტილერია და ერთი როტა ქვეითი ჯარი იგზავნება გრეიტაუნში აჯანყებულების ბელადი ბომბარტის წინააღმდეგ.

**კოკანდი.** სასამართლომ 32 ადგილობრივი მცხოვრების საქმე გაარჩია, რომელთაც ბრალდებოდათ ჯარის კაცების იარაღის წართმევა. ერთი გაამართლეს და 31 კაცს კი გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯეს.

**ლონდონი.** „რეიტერი" გვატყობინებს ტოკიოდან, რომ იაპონიას აზრათ აქვს მთელ მანჯურიაში საზღვარგარეთელი ვაჭრები შეუშვას და ნავთსადგურს ტატუნგჩაოში საზღვარგარეთის გემებსაც უფლება მისცეს შესვლისა.

**ბერლინი.** მაგისტრატმა მისლოვიცმა მთავრობას თხოვნა მისცა, რომ მუშები უკმაყოფილებას აცხადებენ სანოვაგეზე დამოუნის ბაჟის გადიდების შესახებო. შიშობენ, რომ უკმაყოფილება გაფიცვას და არეულობას გამოიწვევსო. მაგისტრატი ითხოვს უწინდელ სადამოუნო ბაჟის აღდგენას. ამბობენ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე მაგისტრატმა ენერგიულათ დაიცო შუამდგომლობაო.

რეიხსტაგმა მიიღო რეზოლიუცია შაქარზე 10 მარკით გადასახადის შემცირების შესახებ. გერმანიის შაქარი ამერიკის ბაზარზე შაქრის ლერწმნისაგან გაკეთებულ შაქრის ფასათ იყიდება,

**ვენა.** ლეიბახის ლანდტაგის კრებაზე მთავრობამ წინადადება შეიტანა, რომ ძველი კურიის სისტემა დაცულ იქმნას და მიემატოს ახალი კურია ათი მანდატით საყოველთაო კენჭის ყრითო. სლავინთა და პროგრესიული პარტიები ზარების წკრიალით, სტვენით და რახუნით ხელს უშლიდნენ. კრება დაიშალა.

**პეკინი.** (რეიტერი) ნანჩანგში ჩინეთის ჩინოვნიკის მოკვლამ, რის შედეგიც იყო მისიონერების თავდასხმა, ჩრდილოეთ ჩინეთის მცხოვრებთა შორის მღელვარება გამოიწვია მისიონერების წინააღმდეგ. ბევრ ადგილას ჯარებია ჩაყენებული.

**ლეიბახი.** ლანდტაგის კრების განახლების შემდეგ ხმაურობას ობსტრუქციონისტები განაგრძობენ. კრება ორი საათით ხელ-ახლა შეწყდა. კრების შეწყვეტის დროს პარტიების მოლაპარაკება იყო იმ მიზნით, რომ კომპრომისებზე წავიდნენ. სლავიანთა პარტიის სურვილი აქვს დაზმობის გზას დაადგეს. ნაციონალურ-პროგრესიული პარტია ეთანხმება მოლაპარაკება დაიწყოს კომპრომისის შესახებ მხოლოდ იმ პირობით, რომ ლანდტაგის სესია დაუყონებლივ გადიდეას. კრების გახსნის შემდეგ ოლქის უფროსმა გამოაცხადა, რომ ამ პირობებში კრების გაგრძელება შეუძლებელია და ამიტომ ის კრებას ხურავსო.

**ლანსი.** პროკურორმა დაიწყო გამოძიება იმ ინჟინრების საქმის, რომლებიც კურიერში მაღნების მმართველებია. ვითომც ცხრა ცოცხალი მუშა ნახეს ეს ცნობა ტყუილია. მუშებს დაეძებეს. ცეცხლის გამქრობი რაზმი მოვარდით მაღაროებში ჩავიდნენ.

23 მარტი

**პეტერბურგი.** კიევში ქალაქის არჩევნებზე კადეტებმა გაიმარჯვა, 80 ამრჩევლებიდან 68 ხმა მიიღეს. არზამაში აირჩიეს ერთი ამრჩეველი კადეტი; სამარაში—4; მარიუპოლში—4; კიშინოვში—80 ამრჩეველი, 53 ქრისტიანი და 25 ებრაელი, ორი კარაიმი, ამათ შორის 33 კონსერვატორია, 47 პროგრესისტი. ვორონეჟის მაზრაში გლეხებმა აზნაურების, ვაჭრების და სასულიერო წოდების წინააღმდეგ ძლიერი აგიტაცია გასწიეს. როსტოვის ოლქში, დონის ოლქში, პროგრესისტები გაიშავეს; კრასნში, სმოლენის გუბერნიაში, აირჩიეს პოპოვი—კადეტი. განსაკუთრებულმა სანოვაგის კრებამ ვატაცის თავმჯდომარეობით ხელახლათ გუბერნიის საბჭოს მიასესხა 1128075 მან. ამათ რიცხვში თესლის მოსამზადებლათ ვორონეჟის გუბერნიას 399782 მ., ციმბირისას — 250,000 მან., ნოვგოროდისას— 400,000 მ., მოუსავლობიდან დაზარალებულთა სასარგებლოთ წინეთ გადადებული ფულიანათ არის 71,300,624 მან. და 45 კ.

კანონთა დებულებაში უმაღლესათ დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს დებულება გამოქვეყნებული, რომელიც შეეხება არეულობის დროს სხვა და სხვა ადგილებში დაზარალებულ კერძო პირების დახმარებას. ორენბურგის გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ლეიტენანტი ბარაში სენატორათ დაინიშნა. ებრაელებს ნება ეძლევა კავკასიის სამკურნალო წყლებზე იცხოვრონ საექიმოთ. გენრიხ ბლოკის თავის. მოკვლას ნერვების ავათმყოფობას აწერენ.

**ადესა.** ოქტომბრისტების და ვაჭრობამრეწველობის შეერთებული კომიტეტი შესდგა. საარჩევნო აგიტაციები ხშირდება და ძლიერდება.

**ჩიტა.** 46 ჯარის კაცებიდან სასამართლომ გაამართლა მხოლოდ 28; ერთს მიუსაჯეს უვადო კატორგა, დანარჩენებს სხვა და სხვა სასჯელი დაუნიშნეს. სამხედრო კავშირის საქმისთვის დაიჭირეს კაპიტანი ალექსანდროვი, შტაბს-კაპიტანი პერმერჟიცკი, პოდესაული ნიკოლაევი. გენერალ გოლშევნიკოვს პოლიციაში დაპატიმრება სახლში დაპატიმრებათ შეუცვალეს.

**სიმბირსკი.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ ერობიდან აირჩიეს გუბერნიის წინამძღოლი პოლივახოვი—მონარქისტი.

**ვარშავი.** დილით სამმა უცნობმა მოკლა ედუარდ ტეპლიცი, რომელიც გერმან-მეიერის სავაჭრო სახლში მსახურებდა. ტეპლიცი მოკლეს თავის დედის სახლიდან გამოსვლის შემდეგ, ალბათ იმიტომ მოკლეს, რომ ფულის მიცემაზე უარი უთხრა მექრთამეებს.

**ლაზანა.** სასამართლომ უარყო რუსეთის ქვეშევრდომების საჩივარი, რომლებიც ჟენევის საქმისთვის გაასამართლეს.

**ტულონი.** პოლიციის კომისარი და სალდათები, რომლებიც პრეფექტმა მუშებთან მოსალაპარაკებლათ გაგზავნა, ტყვეთ დაიჭირეს მუშებმა. გაფიცულებმა განაცხადეს, რომ დაჭერილებს გაუშვებენ თუ ქალაქში დემონსტრაციის ნებას მისცემენო.

**დურბანი** (რეიტერი). ბრიტანიის ჯარი იმპანტში ბრძოლის შემდეგ იძულებული შეიქნა გრეიტოუნისკენ დახეულიყო. რაზმის ნაწილი კიტსდრიფში მოვიდა ბავშვების და ქალების გადასარჩენათ. რაზმმა მიზანს მიახწია, მაგრამ უკან დაბრუნების დროს თავს დაესხნენ და იძულებულ იქნა გაქცეულიყო და ექვსი მილის მანძილი უკან დაეხია. შეტაკების დროს მოკლეს სამი პოლიციის მოხელე, რამდენიმე კაცი დასჭრეს და დანარჩენები კი გრეიტაუნში მივიდნენ.

**ბუდაპეშტი.** კოალიციის ხელმძღვანელებს დღეს ბჭობა ქონდათ. შუადღის შემდეგაც თათბირი გაგრძელდა. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღიათ. ამბობენ მთავრობასთან შეთანხმების საქმე წინ მიდისო.

**ბერლინი.** ალჟირის კონფერენციის შედეგების შესახებ რეიხსტაგში გრაფმა ბიულოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა. შემდეგ, როცა ავგუსტ ბებელი ლაპარაკობდა ბიულოვს გული შეუწუხდა. კანცლერი სკამზე იჯდა, და რამდენჯერმე მარცხნით გადიხარა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ისევ მარჯვეთ დაჯდა. დეპუტატი ბახემი, რომელიც კანცლერის ასეთ მდგომარეობას თვალყურს ადევნებდა, მივიდა სტოლთან და კანცლერს ხელი მოკიდა. ვიცე-პრეზიდენტმა შტომბერგმა დაიყვირა: „ექიმი მუკდანი აქ არის?" მუკდანი და ექიმი ბეკკერი მივიდა კანცლერთან დასახმარებლათ. ბებელმა თავისი სიტყვა შეწყვიტა. კრება 15 მინუთით დაიხურა. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კანცლერი დარბაზიდან გაიყვანეს. პირველის საათის ოცმინუთზე კრება ხელახლა გაიხსნა. 2 საათს 45 მინ. იმპერატორი ვილჰელმი და ბიულოვის მეუღლე მოვიდნენ. კანცლერმა ექიმებს მკაფიოთ უპასუხა ყველა კითხვებზე. ექიმი რენვორნსის აზრით კანცლერს ძლიერ გული წასულია,

(რუსეთის სააგენტო)

23 მარტი.

**ბელოსტოკი.** სურაჟის ქუჩაზე ტყავის ქარხნის პატრონს პლავკინს ხუთი შეიარაღებული კაცი დაეცა. პლავკინი დაჭრეს და ბოროტგამზრახველები გაიქცენ.

**ლოძი.** რამდენიმე კაცი დადიოდენ პურის მცხობლებთან პურის გამოცხობას არ აnებებდენ და ცომში ნახშირს უყრიდენ. პურის მცხობმა ოსტროვსკიმ თავის დაფარვა განიზრახა, ბოროტგამზრახველებმა რევოლვერით მოკლეს და გაიქცენ.

**პოლტავა.** ლუბნაში ღვინის დუქანს შეიარაღებული კაცები დაეცენ. ნოქარმა ქალმა წინააღმდეგობა გაუწია. ბოროტგამზრახველებმა რევოლვერები გაისროლეს და მიიმალენ.

**რეველი.** სასამართლოს განაჩენი, ორ მცირე წლოვანების შესახებ, რომლებსაც 8 წლის კატორგა ქონდა გადაწყვეტილი, გენერალ-გუბერნატორმა 5 წლით არესტანტის როტაში ყოფნით შეუცვალა,

**ლოძი.** შეპლერის ფაბრიკა დაიხურა, 7000-ზე მეტი მუშა უადგილოთ დარჩა,

**რიგა.** გუშინ უსტ-დვინსკში დახვრიტეს გლეხი სპეკი.

მოსკოვის ფოსშტადში გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ბევრი რევოლვერები და არალეგალური ლიტერატურა.

**მიტავა.** ერთი ბინის გაჩხრეკის დროს ბინის სამი კედელი დაანგრიეს და იქ ნახეს ხანჯლები, რევოლვერები, შტიკები, სტამბის ასოები და პროკლამაციები. მდგმურები დაიჭირეს.

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ სატირულ ჟურნალის „დევიატი ვალის" რედაქტორს, უსას, ორი თვით დაპატიმრება მიუსაჯა.

**რომი.** ფოგიის და ბარის პროვინციებში აგრარული მოძრაობა დაიწყო.

**პარიჟი.** კურიერის მაღაროებიდან კიდევ ერთი ცოცხალი მუშა ამოიღეს. მან მიწის ქვეშ 25 დღე დაყო. ის ჯანმრთელათაა.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე.**


# განცხადება

თფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამ წლის 27 მარტს 12 საათზე, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** რაკეტნი ვიწრო ქუჩაზე კოლონიზაციის გასაყვანათ სიგრძით—70 საჟ. ბეტონის მილი „ 0,250.16.16 „—.30, „0,33.0,22„ — 4 სათვალყურო (СМОТРОВЫХЪ) ჭა.

წერილობითი განცხადება აღნიშნულ სამუშაოზე თითოეულზე ცალკე ფასის აღნიშვნით უნდა წარმოადგინონ დაბეჭდილ პაკეტებით **ამ წლის 27 მარტისათვის.**

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს,—შეუძლია კონდიცია განიხილოს გამგეობის სამშენებლო განყოფილებაში ყოველ საქმის დღე 12—2 საათამდის.

საქმე № 28/905.

(2—2)

ქ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში

**იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:**

1, ი. **ნინოშვილის** სრული თხზ. მშვენიერი ყდით ... 2

2. [illegible]

3, [illegible] 1 წიგნი

4, [illegible] 1 წიგნი

5, [illegible]


თფილისი, ელიზავეტის ქუჩა, სტამბა გ. თავართქილაძისა, № 17.